საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი და აფხაზი ხალხები კვლავ მონახავენ გზას ურთიერთის გულებისაკენ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 162 (708) სამშაბათი, 27 ივლისი, 1993 წელი ფასი 25 კუპონი

ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ დავამყარებთ მშვიდობას ჩვენს ქვეყანაში

ქართველ და აფხაზ ხალხებს

თანამემამულენო!

მალე უკვე თორმეტი თვე სრულდება, რაც აფხაზეთის მიწაზე არ წყდება ძმათამკვლელი ომი. ბევრი საზარელი, ენით აუწერელი რამ მოხდა ამ დროის მანძილზე. ზღვა სისხლი დაიღვარა, სისხლი ძმებისა, ერთი ოჯახისა და ერთი გვარის შვილებისა, რომლებიც ბედის უკუღმართობით ფრონტის ხაზის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. ათასობით ოჯახი დარჩა უსახლკაროდ. საკუთარი სამშობლოდან ლტოლვილის ბედი გაიზიარა მრავალმა უდანაშაულო ქართველმა, აფხაზმა, სომეხმა, რუსმა, ბერძენმა თუ სხვა ეროვნების ადამიანმა. ყოველივე ამას გამართლება არა აქვს!

ამ საშინელი ომით დაიღალა ხალხი. დაიღალა აფხაზი, დაიღალა ქართველი, სომეხი, ბერძენი თუ რუსი. დაიღალა აფხაზეთი, დაიღალა სრულიად საქართველო! დღეს უკვე არსებობს ყველა პირობა, რათა სერიოზულად ვილაპარაკოთ მშვიდობაზე, შერიგებაზე. რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს ეს პროცესი, მაინც ესაა მხოლოდ გამოსავალი, ესაა ჩვენი საერთო ხსნის გზა.

მართალია, უდავოა, რომ ჩვენი მტრობის გაღვივებაში ლომის წილი გარეშე ძალებს უძევთ, მაგრამ, რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს მათი ჩარევა, საბოლოო, გადამწყვეტი სიტყვა მაინც ჩვენ უნდა ვთქვათ. ჩვენ, ორმა უძველესმა მოძმე ხალხმა, უნდა მოვილაპარაკოთ. ქართველთა და აფხაზთა მომავალი თვით ამ ხალხებმა უნდა განსაზღვრონ, თავიანთი ბედი თვითვე უნდა გადაწყვიტონ. არ არსებობს ჩვენს ხალხებს შორის სადავო არც ერთი საკითხი, რომელსაც ჩვენ ვერ გადავჭრით.

აფხაზთა და ქართველთა ერთობლივმა ძალისხმევამ უნდა გაამთლიანოს ორად გახლეჩილი აფხაზეთი და განამტკიცოს მისი სახელმწიფოებრიობა საქართველოს შემადგენლობაში. უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა აფხაზი ხალხის კულტურის, ენის, მისი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენა და განვითარება გარანტირებული იქნება. ჩვენ უნდა შევუქმნათ ნორმალური არსებობისა და განვითარების ყველა პირობა სომხებს, რუსებს, ბერძნებს, ყველა ეროვნების ადამიანს.

ახლა, როცა ვითარება უკიდურესად დაიძაბა, როცა აფხაზი და ქართველი ხალხების საერთო მტრები აღარაფერს ერიდებიან თავიანთი ბნელი ზრახვების ასასრულებლად, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მტკიცე საფუძველი შევუქმნათ მშვიდობის დამყარებას რეგიონში. დღეს მთავარია უზრუნველვყოთ ცეცხლის შეწყვეტა. უნდა დავაწესოთ უმკაცრესი კონტროლი, რათა არანაირი იარაღიდან სროლა აღარ წარმოებდეს, აღვკვეთოთ ყოველგვარი პროვოკაცია როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. დე, მიიღონ ამ კონტროლში მონაწილეობა გაერომ, მეზობელი რუსეთის წარმომადგენლებმა, მაგრამ მთავარია მაინც ჩვენი თვალი და ყური, ჩვენი სინდისი უნდა იყოს. უდიდესი მონდომება, კეთილი ნება გვმართებს, რათა აღვადგინოთ ცხოვრების ნორმალური პირობები აფხაზეთის ყველა ქალაქსა და რაიონში, შევქმნათ საფუძველი ლტოლვილი ოჯახების საკუთარ კერებზე დასაბრუნებლად.

მე ღრმად მწამს, რომ ქართველი და აფხაზი ხალხები კვლავ მონახავენ გზას ურთიერთის გულებისაკენ. ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ დავამყარებთ მშვიდობას ჩვენს ქვეყანაში, მეგობრული, კონსტრუქციული დიალოგის გზით მოვაგვარებთ ყველა სადავო საქმეს, რაც ბედნიერებისა და აყვავების საწინდარი იქნება როგორც აფხაზეთის, ისე სრულიად საქართველოს მიწაზე.

ედუარდ შევარდნაძე.

ამჯერად ცეცხლი ნამდვილად შეწყდება!

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი შესრულებისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ შეთანხმების პროექტის განხილვის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება, დაევალოთ საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს საჭირო შესწორებათა შემდეგ, ხელი მოაწერონ მას.

1992 წლის აგვისტოში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან განვლილი თითქმის თორმეტი თვის მანძილზე ჩვენ ვეძებდით მშვიდობის, ძმათამკვლელი ომის შეწყვეტის გზებს. იმთავითვე ვიცოდით, ვამბობდით, ვარწმუნებდით: გამარჯვებულები ამ ომში არ შეიძლება იყვნენ და არც იქნებიან. არ შეიძლება გამარჯვება სისხლისმღვრელ, ერთმანეთის გამანადგურებელ ომში, როცა ერთმანეთს უპირისპირდებიან საერთო მიწის ადამიანები და ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები. ამ ომში ერთადერთი შესაძლო და მისაღები გამარჯვებაა მშვიდობა, სისხლისღვრის, ადამიანთა, ქალაქებისა და სოფლების, ცოცხალი ბუნების მოსპობის შეწყვეტა.

მშვიდობის მიღწევისადმი ჩვენი მისწრაფება დადასტურებულია რამდენიმე შეთანხმებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, წარმატებული ცდებით — მიგვეპყრო მსოფლიო გაერთიანების ყურადღება აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტისადმი, გამოგვეყენებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ავტორიტეტი და შესაძლებლობანი მისი პოლიტიკური საშუალებებით მოწესრიგებისათვის. ჩვენი ინიციატივით გაეროს უშიშროების საბჭომ განიხილა საკითხი კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო მეთვალყურეთა გაგზავნის შესახებ და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. უკვე მიღებულია მისი განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი. ამავე დროს, რუსეთის შუამდგომლობით, ჩვენსა და რუსეთის პრეზიდენტს შორის, ამა წლის 14 მაისს მიღწეული შეთანხმების წყალობით, განახლდა სამმხრივი მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის რეალური პირობებისა და მათი დაცვისადმი კონტროლის ქმედითი მექანიზმის შესამუშავებლად.

უეჭველია, გაიზარდა რუსეთის პოზიტიური როლი, რომლის უმაღლესმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მკაფიოდ განსაზღვრა თავისი პოზიცია, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობითა და სტაბილურობით.

მივესალმებით რა ამ პოზიციას, რომელიც მთლიანად შეესაბამება ჩვენს, არაერთგზის გამოხატულ თვალსაზრისს კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში საქართველოს როლისა და ადგილის თაობაზე, ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველო კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა იყოს აქ სტაბილურობისა და მშვიდობის საიმედო გარანტი.

ახლა, როცა აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტას საფუძვლად დაედო დემილიტარიზაციის იდეა და მსოფლიო გაერთიანება ებმება მისი განხორციელების საქმეში, საქართველოს აქვს მეტი შანსი ამ მიზნის მიღწევისათვის. ვიმედოვნებ, რომ ამჯერად ცეცხლი ნამდვილად შეწყდება და ჩვენ შევძლებთ შევუდგეთ მშვიდობიან აღმშენებლობით პროცესს, რომელიც შეიცავს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ყველა ასპექტს.

ხელმოსაწერად მომზადებული შეთანხმება შეიცავს ყველა საჭირო პირობას, ალბათ, ერთის გარდა, და მე მინდა, ჩამოვაყალიბო იგი: უწინარეს ყოვლისა, ცეცხლი უნდა შეწყდეს ადამიანთა გონებასა და გულში, რომლებიც ტრაგიკულად ჩათრეულნი არიან ორი ხალხისათვის ამ კატასტროფულ დაპირისპირებაში.

ეს ძნელი, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელი, და ამიტომ — შესაძლებელია. მინდა მწამდეს, რომ ამას გაიგებს ყველა, და ჩვენ კვლავ, უწინდებურად, მშვიდობიანად ვიცხოვრებთ ერთად ერთ მიწაზე, და არ დავიღუპებით ერთად ამ მიწაზე.

თბილისი, 1993 წლის 24 ივლისი.

ედუარდ შევარდნაძე: ბრძოლა იწყება, მაგრამ ბრძოლა შედარებით მშვიდობიანი გზებით, მშვიდობისათვის და ომის დამთავრებისათვის

მე ამ ბოლო დღეებში საკმაოდ ინტენსიურად მიხდება საუბარი ამ დოკუმენტის შესახებ. მე ვრჩები იმ აზრზე, იმ პოზიციას ვიცავ, რომ გადაწყვეტილება თავისთავად და, ამდენად დოკუმენტი, რომ ახლა უნდა შეწყდეს ცეცხლი, ისტორიული მნიშვნელობისაა — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს რადიოს კომენტატორ ნატო ონიანთან თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში, როცა შეეხო კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი კონტროლის მექანიზმის შექმნის შესახებ შეთანხმებას. ამასთან ერთად, თქვა მან, ხაზს ვუსვამ, რომ ეს შუალედური დოკუმენტია. ამას, სხვათა შორის, არცერთი ჩემი ოპონენტი არ ახსენებს. ეს არ არის საბოლოო დოკუმენტი. მან საბოლოო მოწესრიგებამდე, ომის დამთავრებამდე უნდა მიგვიყვანოს. ეს არის ომის დამთავრების პროცესის დასაწყისი. საერთოდ, იდეალური დოკუმენტები ასეთ შემთხვევაში არ დგება. ვფიქრობ, ეს მაინც ერთადერთი გამოსავალია დღევანდელი უღრმესი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს არის შესაძლებლობა, რომელიც ეძლევა საქართველოს — აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა უსისხლოდ, ახალი დიდი მსხვერპლის გარეშე. მიმაჩნია, რომ ეს ისტორიული შანსია, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. მე არ მინდა იმის თქმა, რომ ეს ყველაფერი გარანტირებულია, ყველა პრობლემა უმტკივნეულოდ მოგვარდება, თუ ხელს მოვაწერთ დოკუმენტს; ბრძოლა იწყება, მაგრამ ბრძოლა შედარებით მშვიდობიანი გზებით, მშვიდობისათვის და ომის დამთავრებისათვის.

ახლა ხშირად მესმის, რომ ჩვენ გვირჩევნია ბრძოლა გავაგრძელოთ, გვირჩევნია შევიწიროთ, საყოველთაო მობილიზაცია გამოვაცხადოთ, მთელი ქვეყანა ფეხზე დავაყენოთ, ვიომოთ ბოლომდე, გამარჯვებამდე და ასე შემდეგ. მე მაქვს უფლება ვილაპარაკო ამ ომზე, მის შედეგებზე. როგორც იცით, მე ზურგში არ დავრჩენილვარ და, ასე თუ ისე, ვიყავი იქ, სადაც უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მეთაური, მთავარსარდალი და მოქალაქე, სახელმწიფოს მოქალაქე. მე უფრო უკეთ, ვინემ სხვამ, ვიცი, რაც არის ეს ომი. ვიცი მისი მთელი საშინელება ორივე მხარისათვის, ქართველებისათვის, აფხაზებისათვის. მე მიმაჩნია, რომ ეს ომი უნდა დავამთავროთ. ხალხი მეტს ვეღარ გაუძლებს, ვეღარ უძლებს უკვე. მე მაკვირვებს იმ მოღვაწეთა გამოსვლები, რომლებიც ვერ გრძნობენ ამას, დაკარგეს იმის შეგრძნება, თუ როგორია ჩვენი ხალხის დღევანდელი მდგომარეობა. ვისი ბრალია ეს, ჩემი თუ სხვისი? მოვა დრო და გაირკვევა ყველაფერი. მაგრამ ჩვენ ხომ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ დამთავრდეს ომი, დავიწყოთ პროცესი, რომელსაც მივყავართ ომის დამთავრებისაკენ, საქართველოს ტერიტორიის გამთლიანებისაკენ. ეს სადავო არავისთვის არ უნდა იყოს. ამ მშვიდობისაკენ მიმავალ გზაზე პოლიტიკური ამბიციები არ უნდა გადაგვეღობოს, მე მიმაჩნია, რომ ჩვენი დიდი ავადმყოფობა დღეს არის დემაგოგია, პოპულიზმი, სხვათა შორის, დამახასიათებელი დემოკრატიისაკენ მიმავალი თითქმის ყველა ქვეყნისათვის. მაგრამ ჩვენთან ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა. ამიტომ, მე მივიღე ეს გადაწყვეტილება. და ღრმად მჯერა, რომ დღეს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სწორედ ამ გადაწყვეტილებას დაუჭერს მხარს.

დღეს მე მექნება შეხვედრა ბატონ პასტუხოვთან. ჩვენ ვდაობთ, ვკამათობთ, ბევრ რამეში არ ვეთანხმებით, მაგრამ შეთანხმება ამიტომ არის შეთანხმება, ხელშეკრულებას ამიტომ ჰქვია ხელშეკრულება. სხვათა შორის, ამ სიტყვას ჩავუფიქრდით — ხელშეკრულება — ე. ი. რაღაცაში ხელს ვიღაცას უკრავს, ეს ბრძნული ქართული სიტყვაა და კომპრომისს გულისხმობს, რაღაცის დათმობას — ერთის მხრივ, და რაღაცის მოგებას — მეორის მხრივ.

მინდა ეს კარგად გააცნობიეროს ჩვენმა საზოგადოებრიობამ, თუ რატომ ვიღებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას. მე სხვაგვარად არ შემიძლია. ამ შემთხვევაში, ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ეს ხელშეკრულება შესრულდეს. და, რაც მთავარია, როდესაც ცეცხლი შეწყდება, დაიწყება მეორე ეტაპი — უფრო რთული და უფრო ძნელი, დიდი ხელშეკრულების მომზადება საბოლოო მოწესრიგებისათვის, სადაც უნდა გადაწყდეს ბევრი საკითხი, მათ შორის, მხედველობაში მაქვს მდინარე ფსოუზე საზღვრის საკითხი. და ეს საკითხი უნდა გადაწყდეს რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. დარწმუნებული ვარ ჩვენი ხალხი დაინახავს, რომ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, მართალი ვართ. დღეს საუბარი მექნება რუსეთის ხელმძღვანელობასთან. ჩვენ, ალბათ, უნდა შევთანხმდეთ, როგორ მოვიქცეთ, როდის გაფორმდეს ეს ყველაფერი და ამის შესახებ ტელემაყურებლებს და რადიომსმენელებს აუცილებლად შევატყობინებ დღეს ან ხვალ.

მეორე თავისებურება ამ მომენტისა და იმისა, თუ რატომ ვიღებ მე ამ პასუხისმგებლობას, რომ დღეს მოეწეროს ამას ხელი: მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს მწარე გამოცდილება, როცა რუსეთთან მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებას და ის არ შესრულდა, დღეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და ამასაც ჩემი ოპონენტები გვერდს უვლიან, ეს არის რეალური მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, უშიშროების საბჭოსი, გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლისა ამ მოლაპარაკებისა და მოწესრიგების პროცესში, უშუალოდ მეთვალყურეებისა და სამშვიდობო ძალების შემოსვლა. ყველა ის ატრიბუტი, რასაც ჰქვია საერთაშორისო ძალების მონაწილეობა კონფლიქტის დაძლევაში, როგორც იცით, სახეზე გვაქვს, ამასაც ნუ გავაუფასურებთ, ეს გავითვალისწინოთ, ეს დავიმახსოვროთ, რომ აქ უკვე სხვა თვალი უყურებს და აკონტროლებს საქართველოსაც, რუსეთსაც და მეორე მხარესაც, რომელთანაც ახლა ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვართ. რაც შეეხება ლაპარაკს იმის შესახებ, რომ, აი, რა მოხდა მერე, ნაპოლეონმა მოსკოვი აიღო და ბოლოს მაინც დამარცხდა, მე მგონია, ასეთი პარალელები ბევრ სასიკეთოს არაფერს მოიტანს. მე მზარავს, როცა ლაპარაკობენ იმაზე, რომ ჩვენ შეიძლება სოხუმი დავთმოთ და დავტოვოთ. ვერ გეტყვით, შეიძლება რაღაც უბედურება დატრიალდეს, რაღაც მოხდეს ასეთი, თუმცა, იმის მიხედვით, რაც არის რეალური ძალები და შესაძლებლობები, თუ ღალატი არ იქნება, სოხუმი არ დაიკარგება, მით უმეტეს, რომ ახლა ამ დოკუმენტის ხელმოწერას, ცეცხლის შეწყვეტას ჩვენ მივუახლოვდით და შეიძლება ეს ამ დღეებში გაფორმდეს. მე კიდევ ვიმეორებ, არ შემიძლია მშვიდად ვილაპარაკო იმაზე, რომ ადამიანებს, ქართველებს ებადებათ ასეთი აზრი. როცა მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომ უნდა მოეწეროს-მეთქი ხელი, უფრო სწორად, შეიძლება მე კი არა, ჩემმა წარმომადგენელმა მოაწეროს ხელი. მე მაშინ არავითარი ეჭვი არ მქონდა. მე სწორი ვარ იმიტომ, რომ არა ერთი და ორი ღამე გამითენებია ამაზე ფიქრში და ათი ათასი ვარიანტი და ათი ათასი შესაძლებლობა გადავხარშე გონებაში და მივედი ამ დასკვნამდე. მაგრამ რახან პარლამენტში ასეთი ვნებათაღელვა იყო და საკმაოდ მძლავრი პოზიცია გამოიკვეთა, და ეს, სხვათა შორის, სატელევიზიო გადაცემებშიც კარგად ჩანს, რომ ბევრი არ ეთანხმება, ამიტომ, მივიღე გუშინ გადაწყვეტილება — გავფრინდი სოხუმს და ღამის ათი საათიდან დილის შვიდ საათამდე გავატარე ჩვენს სამხედროებთან, ჩვენს შტაბში. შევხვდი თითქმის ყველას, ვისაც უნდა შევხვედროდი, ვისაც უნდა ვკითხო ასეთ დროს აზრი, შევხვდი სოხუმელებს, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტრებს, მოქალაქეებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. უნდა გითხრათ, რომ ჩავედი იმ განწყობილებით, რომ თუ მართლა ვცდები, მე საზომად ამ შემთხვევაში, სოხუმელების განწყობილება მინდოდა გამეგო, და აი, ამ საუბრების, შეხვედრების შემდეგად, წუხანდელმა მძიმე ღამემ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ მე ახლა, ამ ეტაპზე მართალი ვარ. მომავალი გვიჩვენებს, შემდეგ რა იქნება, როგორ იქნება, მაგრამ დღეს მე მართალი ვარ ერისა და საკუთარი სინდისის წინაშე. მე რომ სხვა გადაწყვეტილება მიმეღო, მაშინ, ალბათ, ჩემმა ხალხმა უნდა შემაჩვენოს. მე მიმაჩნია, დღეს არის იმის შანსი, რომ ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, ვიბრძოლოთ ღირსეული ზავისათვის, ქვეყნის ტერიტორიის გამთლიანებისათვის, და ეს შანსი რომ ხელიდან გაგვეშვა, მაშინ მართლაცდა სახრჩობელაზე ასასვლელი ვარ. ამ გრძნობით, ამ განწყობილებით დავბრუნდი სოხუმიდან. მე მართალი ვარ დაღუპულთა ხსოვნის წინაშეც. მე ეს ღრმად მჯერა, რომ ის ოჯახებიც კი, რომლებიც ამ უბედურებაში აღმოჩნდნენ, შვილები, მარჩენალები დაკარგეს, მიესალმებიან. თუნდაც ზავი და

(დასასრული მე-2 გვ.).

26 ივლისის რადიოინტერვიუ

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 25 ივლისს დილის 5 საათსა და 35 წუთზე ორმა სუ-25 ტიპის სამხედრო თვითმფრინავმა, რომლებიც გუდაუთის მხრიდან ზღვაზე შემოვლით შემოფრინდნენ სოხუმის საჰაერო სივრცეში, მაღალი სიმაღლიდან ჩამოაგდეს რამდენიმე ბომბი ქელასურის რაიონში, რის შედეგადაც დაზიანდა ერთი საცხოვრებელი სახლი.

გამთენიისას მოწინააღმდეგემ დაიწყო შეტევა სოფელ ტამიშის მიმართულებით, მაგრამ მათი შეტევა მოგერიებულ იქნა და მოწინააღმდეგემ დანაკარგებით დაიხია უკან. 14 საათსა და 30 წუთიდან მოწინააღმდეგემ ნაღმსატყორცნებით და „გრადებით“ დაიწყო სოხუმის დაბომბვა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგეს დაუყოვნებლივ გაუხსნეს ცეცხლი და აიძულეს იგი შეეწყვიტა ქალაქის დაბომბვა.

დღის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგემ დაიწყო ძლიერი შეტევა შრომის მიმართულებით, მძაფრი ბრძოლები დაბნელებამდე მიმდინარეობდა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ორი ერთეული მძიმე ტექნიკა და რამდენიმე ათეული ბოევიკი.

26 ივლისს ღამით სოხუმს მოუახლოვდა მოწინააღმდეგის გემი, მაგრამ ჩვენმა საზღვაო დაცვამ მათ განზრახვის განხორციელების საშუალება არ მისცა.

გამთენიისას სოხუმის საჰაერო სივრცეში გამოჩნდა მოწინააღმდეგის თვითმფრინავი და ცოტა ხნის შემდეგ უკან გაბრუნდა.

[illegible]

●

საჰაერო-სადესანტო ბრიგადის სარდლობა უარყოფს

სტავროპოლი, 26 ივლისი. (იტარ-ტასის კორ.). სტავროპოლში დისლოცირებული 21-ე ცალკე საჰაერო-სადესანტო ბრიგადის სარდლობამ უარყო ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობა იმის თაობაზე, თითქოს განზრახული იყოს ბრიგადის ახალ ნაწილზე გადანაცვლება გუდაუთაში.

აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ამგვარი შეუმოწმებელი ცნობები „არა თუ ამახინჯებს რუსეთის პოზიციას რუსეთის ჯარების ჩაურევლობის საფუძველზე ქართულ-აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგების გზების მიმართ, არამედ ახალგაზრდა მედესანტეთა მშობლების შეშფოთებას იწვევს, რომლებიც მხედრული გაწვრთნის კურსს გადიან განსაკუთრებულ ბრიგადაში“.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ნომერში

- რამდენად სწორია ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკა. 2
- ჭეშმარიტება აღარც შუაშია. 3

ედუარდ შევარდნაძე სოხუმში

25 ივლისს სოხუმში ჩავიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. იგი ეწვია საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბს და გამართა თათბირი სამხედრო სარდლობასთან, რომელზეც განიხილეს შრომა-ახალშენის უბანზე შექმნილი სიტუაცია. თათბირში მონაწილეობდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა.

გვიან საღამოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ესაუბრა აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს, მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოსა და აფხაზეთის ხსნის კომიტეტის ხელმძღვანელებს. შეხვედრაზე განიხილეს კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი კონტროლის მექანიზმის შექმნის შესახებ შეთანხმების პროექტი, რომელიც ამას წინათ განიხილეს პარლამენტის სხდომაზე.

სხდომაზე გამოსულთა აზრი ერთსულოვანი იყო. შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელი უნდა მოეწეროს, მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა შენელდეს ზრუნვა სოხუმის უსაფრთხოებისათვის.

— სანამ საბოლოოდ არ დავრწმუნდებით, რომ ომი მართლაც მთავრდება, სანამ აფხაზეთში არ შემოვლენ საერთაშორისო სამშვიდობო ძალები და მეთვალყურენი, მანამდე არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევამციროთ ჩვენი პოტენციალი, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა, — ეს ეხება ჩვენი შეიარაღების რიცხვსაც და ხარისხსაც. ახლა ძნელია იკისრო პასუხისმგებლობა, მით უმეტეს, რომ გვაქვს მაგალითები, როცა იმედები არ გაგვიმართლდა. მაგრამ ჩვენ მაინც ხელი უნდა მოვაწეროთ შეთანხმებას, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა.

ე. შევარდნაძემ მადლობა მოახსენა შეკრებილთ იმისათვის, რომ მხარი დაუჭირეს და სწორად გაიგეს მისი მოქმედება. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სოხუმში ყოფნის დროს, სამხედროებთან და ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან საუბრების შედეგად დარწმუნდნენ, რომ არ არის პანიკის საფუძველი, და რომ ქალაქის დაცვისათვის მიღებული ზომები გამორიცხავენ რაიმე შემთხვევითობას. მან აგრეთვე გამოთქვა იმედი, რომ ხელშეკრულებას ხელს მოაწერს მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი, და რომ, მისი აზრით, ეს იქნება სისხლისმღვრელი და ძმათამკვლელი ომის დამთავრების გზაზე გადადგმული რეალური ნაბიჯი.

26 ივლისს დილით ედუარდ შევარდნაძე სოხუმიდან თბილისს დაბრუნდა.

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელს

26 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო წინა საღამოს მოსკოვიდან თბილისში ჩამოსული რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი.

გაიმართა საუბარი, რომელზეც განიხილეს აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შეთანხმების პროექტში საქართველოს მხარის მიერ შეტანილი ზოგიერთი შესწორება. ამ შესწორებათა გათვალისწინებით დოკუმენტის ტექსტს დღესვე, 26 ივლისს წარუდგენენ აფხაზეთის მხარეს გუდაუთაში, სადაც შუამავლის მისიით გაემგზავრა ბორის პასტუხოვი.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირადი წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე, რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში ვლადიმერ ზემსკი, სხვა ოფიციალური პირნი.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა საქინფორმის კორესპონდენტს მისცა ინტერვიუ, რომელშიც აღნიშნა, რომ შეთანხმების პროექტზე მუშაობა დამამთავრებელ ფაზაშია, იმედი გვაქვს, რომ, ფინიშის სწორი, რომელზეც გავედით, ძალიან გრძელი არ უნდა იყოს. მისი აზრით, საქართველოს მხარის მიერ შეტანილი შესწორებები მხოლოდ აზუსტებენ ზოგიერთ ფორმულირებასა და ცალკეულ დეტალებს, და არ ცვლიან შემუშავებული დოკუმენტის კონსტრუქციულ არსსა და ძირითად დებულებებს. ამავე დროს, ბორის პასტუხოვს მიაჩნია, რომ პოსტულატი „უკეთესი კარგის მტერია“ ამ შემთხვევაში გამართლებულია, რადგან შეთანხმების ხელმოწერის დაყოვნება ხელს არ უწყობს კონფლიქტის უსწრაფეს მოწესრიგებას. რუსეთის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იქნებ უკვე ხვალ გაიმართოს შეთანხმების ხელმოწერა, მაგრამ მას არ დაუზუსტებია, თუ სად მოხდება ეს და ვინ მოაწერს ხელს.

შეხვედრა გერმანიისა და ამერიკის ელჩებთან

26 ივლისს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩები საქართველოში ბ-ნები გიუნთერ დალმოფი და კენტ ბრაუნი.

საუბარი, ბუნებრივია, შეეხებოდა აფხაზეთის კონფლიქტს და მის მოსაგვარებლად შემუშავებული შეთანხმების პროექტს. სახელმწიფოს მეთაურმა ელჩებს კიდევ ერთხელ გააცნო აფხაზეთში შექმნილი უკიდურესად მძიმე ვითარება. გამოსავალი ერთადერთია — სასწრაფოდ შეწყდეს ცეცხლი იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომლის პროექტი უკვე არსებობს და გუდაუთის მხარის თანხმობის შემთხვევაში მას ხელს მოაწერენ სავარაუდოდ ხვალ სოჭში.

თუმცა, აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა ეს მხოლოდ დროებითი დოკუმენტია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. დაიწყება დიდი, საფუძვლიანი დოკუმენტის მზადება აფხაზეთის კონფლიქტის დასასრულებლად.

ომი უნდა დამთავრდეს მაგრამ მიუხედავად მავანთა მტკიცებისა, რომ ეს არის კაპიტულაცია, საჭიროა რეალურად შევაფასოთ ჩვენი ძალები, გავითვალისწინოთ, კიდევ რა რაოდენობის მსხვერპლი შეიძლება მოჰყვეს დაუსრულებელ ომს. ამიტომაც მივდივართ გარკვეულ კომპრომისზე, იმედი გვაქვს საერთაშორისო მეთვალყურეებისა, აგრეთვე სამშვიდობო ძალების აქტიური ჩართვისა კონფლიქტის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად — ხაზი გაუსვა ედუარდ შევარდნაძემ.

ბატონებმა დალმოფმა და ბრაუნმა გაიზიარეს სახელმწიფოს მეთაურის პოზიცია, აღნიშნეს, რომ გერმანიასა და ამერიკაში მიესალმებიან საქართველოს სამშვიდობო ინიციატივას და მხარს უჭერენ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას აფხაზეთში, რაც საშუალებას მისცემს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას იზრუნოს იმ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევაზე, რომელიც ომმა კიდევ უფრო გააღრმავა და ლამის კატასტროფამდე მიიყვანა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

შვეიცარია შეისწავლის აფხაზეთში სამხედრო მეთვალყურეთა გაგზავნის შესაძლებლობას

ჟენევა, 26 ივლისი (იტარ-ტასის კორესპონდენტი კონსტანტინე პრიბიტკოვი). შესაძლებელია, მალე აფხაზეთში განაწილდნენ სამხედრო დამკვირვებლები შვეიცარიიდან. ამის შესახებ დღეს ინფორმაცია გაავრცელა შვეიცარიის დეპეშათა სააგენტომ (ატს) საგარეო საქმეთა ფედერალურ დეპარტამენტზე დაყრდნობით.

როგორც ატს-ს განუცხადა საგარეო-პოლიტიკური უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა იურგ შნეებერგერმა, ბერნს მეთვალყურეთა გაგზავნის თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ. ამჟამად საგარეო საქმეთა და სამხედრო დეპარტამენტები განიხილავენ ამ თხოვნას.

უშიშროების საბჭოს მიერ ივლისის დასაწყისში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აფხაზეთში 50 სამხედრო მეთვალყურის გაგზავნაა განზრახული, მიუთითებს სააგენტო. მათ ყურადღება უნდა მიაქციონ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შესაძლო შეთანხმების დაცვას. გაეროს პერსონალის ფორმირების საკითხი განიხილებოდა რიგ სახელმწიფოებთან ერთად, ხაზგასმულია ინფორმაციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდ შევარდნაძე: ბრძოლა იწყება, მაგრამ ბრძოლა შედარებით მშვიდობიანი გზებით, მშვიდობისათვის და ომის დამთავრებისათვის

(დასასრული)

მშვიდობა დამყარდება. მე განსაკუთრებით მართალი ვარ მათ წინაშე, ვინც შეიძლება დღის და ხვალ დაიღუპოს. და თუ კონფლიქტი, ომი გაგრძელდა, ეს ათასებზე აღარ იქნება ლაპარაკი. ჩვენ ისეთი ქვეყანა ვართ, რომელსაც შეზღუდული რესურსები აქვს და, შეიძლება ითქვას, რომ ეს რესურსები აღარც კი გაგვაჩნია. ასე იგი, რით უნდა ვიბრძოლოთ? უნდა ვიბრძოლოთ იმ იარაღით, რომელსაც თანამედროვეს ვეღარ დაარქმევ. ამის მოჰყვება უამრავი მსხვერპლი, უამრავი ადამიანი დაიღუპება და, პირველ რიგში, ახალგაზრდობა. მე არ ვიცი, თუ ვინმეს აქვს იმის გამბედაობა, გამოაცხადოს, რომ მას ურჩევნია ნახევარი საქართველო გაწყვიტოს და ასეთ დოკუმენტს ხელი არ მოაწეროს. მე, როგორც იტყვიან, ათასჯერ და ათი ათასჯერ ცხადი გონებით განვსაჯე და ისტორიულ პასუხისმგებლობას არ მინდა გავექცე და არც გავექცევი, სანამ პირში სული მიდგას, და სანამ მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

როცა კონფლიქტის მოწესრიგებაში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის ფაქტორის მნიშვნელობაზე ილაპარაკა, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ, როცა უშიშროების საბჭომ რამდენჯერმე მიიღო რეზოლუცია, ეს მისი მოთხოვნით იყო. და იქ საკმაოდ სერიოზული შეშფოთებით და სერიოზული ყურადღებით ეკიდებოდნენ ყველა ჩემს წერილს, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, და ამ წერილებს შედეგად ის მოჰყვა, რომ დღეს მთავარი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩართულია და მონაწილეობს ამ კონფლიქტის მოწესრიგებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და მე მგონია, ახლა შეცდომები, ანდა შეგნებული დარღვევა ხელშეკრულებისა, ამის შესაძლებლობა, გაცილებით ნაკლებია.

პარლამენტის სხდომაზე აღვნიშნე, რომ რუსეთი, იმის გამო, რომელშიც ეს ქვეყანა აღმოჩნდა, ახლა უფრო მეტად არის დაინტერესებული ამ კონფლიქტის მოწესრიგებით, ვიდრე, თუნდაც, გასული წლის სექტემბერში იყო. ამასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება იმას, რომ ვეუბნებიან, აი ჩვენ მზადა ვართ ვიბრძოლოთ, განვაცხადოთ, რომ ვართ ომის მდგომარეობაში რუსეთთან, რომ ჩვენ გადავიქცევით მეორე ავღანეთად, ტაჯიკეთად და ასე შემდეგ, მინდა მთელი სერიოზულობით განვაცხადო, რომ ამის თქმის უფლება სერიოზულ პოლიტიკოსს არ გააჩნია. მე ვიცი, რა არის ავღანეთი, მე იქ ბევრი რამ ვნახე. ასი წელი დასჭირდება ავღანეთს, რომ ფეხზე წამოდგეს. მილიონ-ნახევარი ადამიანი ამოწყდა, ეს კიდევ არაა ზუსტი აღრიცხვა, მე არ მინდა საქართველომ ეს ბედი იწვნიოს, და ნუ ვითამაშებთ ამ სიტყვებით. ის, ვინც ამას ამბობს, არ წავა იმ ბრძოლაში, ის პირველი არ ჩადგება მებრძოლთა რიგებში. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენ შეიძლება მეორე ავღანეთად ვიქცეთ, არ არის სწორი. პოლიტიკოსებს ეს არ ეკადრებათ. ღმერთმა ნუ ქნას, ისეთი რამ დატრიალდეს საქართველოში, რაც ახლა ტაჯიკეთში ხდება. მე უკვე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ მთელი ჩვენი ხელოვნება მთელი ჩვენი ჭკუა და გონება მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ იმ გზას, რომელმაც შეიძლება ასეთ ვარიანტამდე მიგვიყვანოს, ავცდეთ. ეს ომი, მე ვიტყოდი, ბრძოლა ნორმალური ურთიერთობებისათვის მოითხოვს სერიოზულ პოლიტიკურ შეფასებას, რომლის შემდეგ საჭიროა მოქმედება. ზოგი რად ამბობენ, რომ, აი, შევარდნაძეს საყრდენი არა აქვს, რომ მის ზურგს უკან პოლიტიკური ძალა არ დგას და ა. შ. მრავალი სხვა არგუმენტიც მოჰყავთ. მე ასე მიმაჩნია — ჩემი დასაყრდენი ჩემი ხალხია და მე ვამაყობ ჩემი ხალხით, რომლის მხარდაჭერასაც ვგრძნობ. სხვათა შორის, გამოკითხვა რომ მოვაწყოთ, თუ ვინ უჭერს ახლა შევარდნაძის მხარს და ვინ არა, მე მგონი, ეს იქნება დიალოგი იმ პოლიტიკის სასარგებლოდ, რომელსაც მე ვთავაზობ ხალხს. ასე რომ, დასაყრდენი არის. თუმცა, კიდევ შეიძლება ვიფიქრო იმაზე, თუ როგორი ორგანიზაციული სახე უნდა მიიღოს ხალხის მხარდაჭერამ. როცა ვლაპარაკობთ უფლებების გამოყენებაზე ან განხორციელებაზე, აუცილებელია ზოგიერთი მექანიზმის სრულყოფა, ზოგიერთი პოლიტიკური ინსტრუმენტის შექმნა. ამაზე ვფიქრობ და რაღაც გარკვეულ დასკვნამდე აუცილებლად მივალ. რომელსაც შევთავაზებ საზოგადოებრიობას.

ის გაზრდილი უფლებები, რომლებიც პარლამენტმა მომანიჭა, პირველად გამოვიყენე იმაში, რომ მივიღე გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. სახელმწიფოს მეთაურის უფლების უფრო მნიშვნელოვნად გამოყენება, მე მგონი, ძნელი წარმოსადგენია. მე ვიღებ ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებას და ესაა ჩემს მიერ უფლების სრულად გამოყენების ერთ-ერთი გამოვლინება.

მაგრამ ამით საქმე არ უნდა დამთავრდეს. უნდა შევეცადოთ და შევეცდები კიდეც, რათა გამოვიყენო ჩემი უფლებები და მდგომარეობა იმისთვის, რომ ხალხს უკეთ ვემსახურო, დავძლიო ის მოვლენები, რომლებიც დღეს ყველას გვაღელვებს და გვაწუხებს.

როცა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობაზე, კეთილმეზობლობაზე ვლაპარაკობ, სულაც არა მაქვს მხედველობაში, რომ რუსეთის პოლიტიკა განსაკუთრებით იდეალურია ჩვენთვის, — ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მეთაურმა.

კუპონის კურსზე საუბრისას ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ ჩვენ ბოლომდე უნდა ამოვწუროთ მანეთის შესაძლებლობა. კუპონები დაბეჭდილი უნდა გვქონოდა და ეროვნული ვალუტა უნდა გამოგვეყენებინა მაშინ, როცა ეს აუცილებელი იქნებოდა. მაგრამ როგორი ვითარებაც უნდა იყოს რუსეთში საშინაო მდგომარეობის თვალსაზრისით, ჩვენ მაინც უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ორ ქვეყანას შორის იყოს ნორმალური ურთიერთობა, თუ გვინდა, რომ ეკონომიკური სიტუაცია გამოსწორდეს, ფინანსურ მდგომარეობასაც ეშველოს რამე, მეცნიერება კვლავ წამოდგეს ფეხზე. ვიმეორებ: მიუხედავად ნეგატიური ამბებისა, რომლებიც ყველა ჩვენგანს აწუხებს და აფიქრებს, მაინც უნდა ვიფიქროთ ნორმალურ ურთიერთობაზე.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ილაპარაკა იმ მასშტაბებზე, რომლებიც ჩვენში მიიღო კორუფციამ და მაფიოზური ელემენტების ქმედებამ. კორუფცია, მაფიოზური ელემენტების მომრავლება, რთული კრიმინოგენური ვითარება, მკვლელობა, ადამიანის მოტაცება და სხვა, ეს ყველაფერი ომის თანმდევი მოვლენებია. ვერავინ ვერ დამისახელებს ისეთ ქვეყანას, თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელიც ომის მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამ უბედურებებს ასცდა. ამიტომ, კვლავ ვიმეორებ, რომ საჭიროა ომის დამთავრება, უნდა დაიწყოს ეს პროცესი და მაშინ წესრიგის დამყარებას მეტი საშუალება გვექნება.

მე ვიცი, თქვა ინტერვიუს დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რასაც გვიკიჟინებენ ისინი, ვინც აკრიტიკებს ჩემს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ. არგუმენტად იშველიებენ იმას, რომ რუსეთი მაინც არ მოგვასვენებს, მაინც იმოქმედებს, იმუშავებს ჩვენს წინააღმდეგ და ა. შ. მაგრამ მე მაინც იგივეს ვუპასუხებ მათ: ომი თუ არ დამთავრდება, ეს საფრთხე კიდევ უფრო დიდი იქნება. მაგრამ თუ აფხაზეთის ომი დამთავრდება, ჩვენ საშუალება მოგვეცემა უფრო ინტენსიურად, უფრო სერიოზულად, პრინციპულად მივხედოთ სამაჩაბლოს, რომ იქ საბოლოო მშვიდობაზე, საბოლოო მოწესრიგებაზე, საზღვრების პრობლემაზე ვილაპარაკოთ, მივხედოთ იმ რეგიონებს, სადაც არის გარკვეული საფრთხე და ეს უკვე გამოიკვეთა. მინდა, განვაცხადო: თუ გვინდა, რუსეთმა ნეგატიური როლი არ შეასრულოს ჩვენს ცხოვრებაში, უნდა ვიფიქროთ მასთან ნორმალურ ურთიერთობაზე. ამჯერად, ეს გარდუვალია, შემდეგ კი ცხოვრება გვიჩვენებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი **ადგენენ:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1993 წლის 3 აგვისტოდან ყველა სახის გადახდები, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო, განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონებში.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავაჭრო დაწესებულებებმა და მომსახურების სფეროს ობიექტებმა (საკუთრების ფორმათა მიუხედავად) ყველა სახის საქონლით საცალო ვაჭრობა და მომსახურება აწარმოონ მხოლოდ კუპონებზე.

1993 წლის 3 აგვისტოდან გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ნებართვები უცხოურ ვალუტაზე საქონლით საცალო ვაჭრობასა და მომსახურებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოურ ვალუტაზე საქონლით საცალო ვაჭრობა და მომსახურება დაშვებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა და რუსული ფულადი ნიშნები მანეთებში (საბანკო და სახაზინო ბილეთები, მონეტები) საგადამხდელო საშუალებად მიმოიქცევიან მხოლოდ 1993 წლის 3 აგვისტომდე.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1993 წლის 3 აგვისტოდან საცალო ვაჭრობა და მომსახურება საბჭოთა და რუსულ მანეთებზე ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებად და გაუთანაბრდეს სისხლის სამართლის დანაშაულს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბანკო დაწესებულებებმა 1993 წლის 3 აგვისტომდე საბჭოთა და რუსული ფულადი ნიშნები მიიღონ იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან კუპონების გადასაცვლელად, ანგარიშებზე და ანაბრებზე ჩასარიცხად შეფარდებით 1:1.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა იურიდიული პირი ვალდებულია 1993 წლის 3 აგვისტოდან მოახდინოს მის სალაროში 1993 წლის 24 ივლისის მდგომარეობით არსებული ნაღდი მანეთების აქტირება და ჩააბაროს იგი მომსახურე საბანკო დაწესებულებას 3 აგვისტომდე სალაროს ინვენტარიზაციის აქტის დედნის წარდგენით.

ამ მუხლის შეუსრულებლობა ისჯება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საბანკო დაწესებულებებმა 1993 წლის 5 აგვისტომდე გადასცენ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს მონაცემები მომსახურე კლიენტურისაგან კუპონებზე გადასაცვლელად მიღებული ნაღდი მანეთებისა და მათ სალაროში 1993 წლის 3 აგვისტოსათვის არსებული სამანეთო ნაშთის ოდენობის შესახებ.

5. საბანკო დაწესებულებებმა 1993 წლის 3 აგვისტოდან იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული ნაშთები გადაიყვანონ მანეთიდან ეროვნული ბანკის კუპონზე შეფარდებით 1:1, ანგარიშებზე არსებული თანხების ოდენობის მიუხედავად. ასეთივე წესით გადაყვანილ იქნეს დავალიანებათა ნაშთები, ბანკის აქტივები და პასივები.

6. საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა (საკუთრების ფორმათა მიუხედავად), ასევე ბანკებმა აღრიცხვა-ანგარიშგება და ბალანსები დაწყებული 1993 წლის 3 აგვისტოდან აწარმოონ მხოლოდ კუპონებში.

1993 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით ბალანსებზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება, სახსრები [illegible] გადაყვანილ იქნეს კუპონებში შეფარდებით 1:1.

7. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დადებული სამეურნეო, სავაჭრო, საფინანსო-საკრედიტო და სხვა სახის ხელშეკრულებათა შესრულება, ასევე ფასიანი ქაღალდების დაფარვა განხორციელდეს კუპონებში.

8. 1993 წლის 3 აგვისტოდან რუსულ მანეთს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიენიჭოს უცხოური ვალუტის სტატუსი და დაექვემდებაროს ქვეყანაში მოქმედ სავალუტო რეჟიმს.

9. 1993 წლის 3 აგვისტოდან რუსული მანეთების გადაცვლა კუპონებზე განხორციელდეს თავისუფალი საბაზრო კურსით რწმუნებული ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მეშვეობით, რომლებსაც აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ლიცენზია.

აიკრძალოს უცხოური ვალუტით, მათ შორის რუსული მანეთებით ვაჭრობა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ლიცენზიის გარეშე. ამგვარი მოქმედება გაუთანაბრდეს მოქმედი კანონმდებლობით სავალუტო ოპერაციების წარმოების წესების დარღვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

10. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ფულადი გზავნილები და გადახდები განხორციელდეს უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორების წესით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკისა და რწმუნებული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით.

11. საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სასარგებლოდ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკისა და რწმუნებული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშზე შემოსული სამანეთო ამონაგები მისი ნაწილის საქართველოს რესპუბლიკის სავალუტო ფონდისა და ეროვნული ბანკისათვის დადგენილი წესით აუცილებელი მიყიდვის შემდეგ დაექვემდებარონ აღნიშნულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიმდინარე სავალუტო ანგარიშებზე ჩარიცხვას.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი
ნ. ფიფია.

თბილისი. 1993 წლის 24 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსული მანეთის ფულის ნიშნების მიმოქცევიდან ამოღების შესახებ

რუსეთის ფედერაციის მიერ 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსული ფულის ნიშნების (საბანკო და სახაზინო ბილეთების) მიმოქცევიდან ამოღებასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. ნება დაერთოთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, გადაცვალონ მათ ხელთ არსებული 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსული ფულის ნიშნები საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონებზე 100 ათასი მანეთის ოდენობით კურსით 1:1, ხოლო აღნიშნული თანხის ზემოთ, შეუზღუდავად შეიტანონ ვადიან ანაბრებზე დადგენილი პროცენტების დარიცხვით.

მოქალაქეთა პირად ანაბრებზე ჩარიცხული თანხების გამოყენება პირველი 6 თვის მანძილზე დაშვებულ იქნეს მხოლოდ საპრივატიზაციო ობიექტების შესაძენად უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ხოლო 6 თვის შემდეგ — მეანაბრეთა შეხედულებისამებრ.

2. 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსული ფულის ნიშნების გადაცვლა და ანაბრებზე შეტანა ეროვნული ბანკის კუპონებზე განხორციელდეს 1993 წლის 26 ივლისიდან 1993 წლის 2 აგვისტოს ჩათვლით.

3. საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მივლინებით ჩამოსულ პირებს ნება დაერთოთ გადაცვალონ 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსული ფულის ნიშნები 30 ათასი მანეთის ოდენობით.

4. 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსული ფულის ნიშნების გადაცვლა 100 ათასი მანეთის ფარგლებში ნაღდ ანგარიშზე მუშა-მოსამსახურეებისათვის განხორციელდეს საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ხოლო უმუშევრების, პენსიონერებისა და სხვა კატეგორიის მოქალაქეებისათვის შემნახველი ბანკის დაწესებულებებში პასპორტში აღნიშვნით.

საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მათი მომსახურე საბანკო დაწესებულებებიდან გადაცვლისათვის საჭირო თანხები კუპონებში გაიტანონ სათანადო განცხადების საფუძველზე, თანდართული სიების მიხედვით.

5. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის შემნახველ და სხვა სახელმწიფო კომერციულ ბანკებს უზრუნველყონ 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსული ფულის ნიშნების გადაცვლა და მოქალაქეთა პირად ანაბრებზე მიღება.

6. საბანკო დაწესებულებებმა სავაჭრო ამონაგები 1993 წლის 24 ივლისიდან მიიღონ მხოლოდ კუპონებში.

7. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

საბანკო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს საქართველოს რესპუბლიკაში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიმდინარე წლის 24 ივლისს მიიღო დადგენილება № 575 „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსული მანეთის ფულის ნიშნების მიმოქცევიდან ამოღების შესახებ".

ამასთან დაკავშირებით **გავალებთ:**

1. უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული ღონისძიების ორგანიზებული ჩატარება და დადგენილი წესის შესაბამისად შეუფერხებლივ აწარმოოთ საწარმო-ორგანიზაციებისაგან, მოქალაქეებისაგან კუპონებზე გადასაცვლელად და პირად ანაბრებზე ჩასარიცხად 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსეთის ფედერაციის ფულის ნიშნების მიღება.

2. საწარმო-ორგანიზაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილება კუპონებზე გადაცვლის მიზნით აწარმოოთ წარმოდგენილი მუშა-მოსამსახურეთა სიების საფუძველზე შედგენილი განაცხადების მიხედვით. შესაბამისი ოდენობის საბჭოთა და რუსული ფულის ნიშნების ჩაბარებისთანავე წარმოდგენილ საფულე ჩეკებში თავისუფალ გრაფაში ცალკე უნდა ეწეროს გადასაცვლელად გატანილი თანხა.

3. არ დაუშვათ 1993 წლის 24 ივლისის და შემდგომ პერიოდში საწარმო-ორგანიზაციებისაგან (საკუთრების ფორმის მიუხედავად) მანეთებში შემოსული ფულადი ამონაგების მიღება.

4. პენსიონერებისაგან, დროებით უმუშევრებისაგან, სხვა კატეგორიის რესპუბლიკის მოქალაქეებისაგან მიიღეთ 1961-1992 წლის ნიმუშის ფულის ნიშნები და შეუცვალეთ კუპონებზე 100 (ასი) ათასი მანეთის ფარგლებში შეფარდებით 1:1. პენსიონერებს, დროებით უმუშევრებს და სხვა კატეგორიის მოქალაქეებს საბჭოთა და რუსეთის ფედერაციის ფულის კუპონებზე გადაცვლის შესახებ აღნიშვნა გაუკეთეთ პირადი პასპორტის 27-ე გვერდზე, ხოლო ლტოლვილებს — პირად მოწმობებში. პასპორტში და მოწმობაში გაკეთებულ ჩანაწერში აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული გადაცვლილი თანხის ოდენობა და ჩანაწერის მწარმოებელი ბანკის მუშაკის ხელმოწერა დამოწმებული იქნეს ბანკის მრგვალი ბეჭდით.

5. საბანკო დაწესებულებაში 1993 წლის 26 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით შემოსული 1961-1992 წლის ნიმუშის საბჭოთა და რუსეთის ფედერაციის ფულის ნიშნები ხუთდღიურში აღრიცხეთ 73-ე სიმბოლოზე.

6. საბანკო დაწესებულებანი ვალდებულნი არიან მ/წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე ყოველდღიურად აცნობონ შესაბამის სათავო ბანკებს დღის განმავლობაში გადაცვლილი თანხის ოდენობის შესახებ, ხოლო სათავო ბანკებმა და კომერციულმა ბანკებმა — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საკასო-საემისიო ოპერაციებისა და ფასეულობათა დაცვის სამმართველოს.

7. ყოველდღიურად უზრუნველყავით დღის განმავლობაში შემოსული საბჭოთა და რუსეთის ფედერაციის ფულის ნიშნების ფორმირება არსებული წესის მიხედვით.

8. აღნიშნული ღონისძიების დამთავრებისთანავე 3 აგვისტოს დილის საათებში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს ოპერატიულად აცნობეთ გადაცვლილი თანხების მოცულობა, შემოსული საბჭოთა და რუსული ფულის ნიშნების ოდენობა კუპიურების მიხედვით.

ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი
ნ. ფიფია.

რამდენად სწორია ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოში ორი ისტორიული პროცესი ერთმანეთს დაემთხვა — ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. დროსა და სივრცეში ამ ორი ისტორიული, თავისი ბუნებით, განვითარების თავისებურებებით (ნიშან-თვისებებით) პროცესის ერთდროულად დაწყება მოითხოვდა ერის მატერიალური და სულიერი პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედებას, ქვეყნის მომავლის ინტერესების ერთიანი ნებისადმი დაქვემდებარების აუცილებლობას, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ისეთი მობილური სტრუქტურებით, მეთოდებითა და ხერხებით რეგულირებას, რომელიც უზრუნველყოფდა სტრატეგიული მიზნების, მრავალმხრივი ტაქტიკური პოლიტიკის რეალიზაციას, ქვეყნის ეკონომიკის ახალ თვისებრიობაზე ნაკლები ტკივილებით გადასვლას. სამწუხაროდ, ამ ამოცანის შესრულებისათვის ერი, სახელმწიფო, პოლიტიკური ძალები მზად არ აღმოჩნდნენ. ეს მთელმა რიგმა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობა.

მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ისტორიული მოვლენების შესაყარზე შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პრობლემები კრიზისული განვითარების პირობებში არამცთუ არ გადაწყდა, პირიქით, გამწვავდა, კატასტროფის წინაშე დააყენა საზოგადოება.

მოხდა განვითარების ძველი და სრულიად ახალი, საქართველოსათვის უცხო პრობლემების რთულ კვანძებად შეკვრა. პრობლემების სწორად, თანაც ნაკლები დანაკარგებით გადაჭრასა და დაძლევას, მთავარისა და მეორეხარისხოვანის განსაზღვრას, მეცნიერულად გააზრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიის (ტაქტიკის), სათანადო მექანიზმების ფორმირებას ღრმა ცოდნა, დიდი გამჭრიახობა, ეროვნული ენერგიის დროული და სწორი კალაპოტით წარმართვა სჭირდებოდა. ეს კი ერთიანი ნების, როგორც ცენტრალური მამოძრავებელი ფაქტორის შექმნა-ამოქმედებით იყო შესაძლებელი. მაგრამ ასე არ მოხდა. ამაში დამნაშავეა ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, პოლიტიკური პარტიებიც, სახელმწიფო და კერძო სექტორიც, პარლამენტიც, მინისტრთა კაბინეტიც, ადგილობრივი ხელისუფლებაც. ერის ნება შეირყა, — ეროვნული ენერგია ცალკეულ პოლიტიკურ წარმონაქმნთა ამბიციებში გაიფანტა, ქვეყნის ღირსების დაცვის ინსტინქტიც თითქმის ჩაქრა, მერმისის ჯანსაღი მარცვლისთვის ნოყიერი ნიადაგი ვერ მომზადდა, ამიტომ ქვეყანა სარეველამორეულ ყანას დაემსგავსა.

ასეთი რამ ერის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს, მაგრამ იგი მხოლოდ დროებითი და არა ხანგრძლივი პროცესი უნდა იყოს. ქვეყნის განვითარების ობიექტური და სუბიექტური, ისტორიული, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორთა გადაკვეთაზე ოთხი უმთავრესი ასპარეზ-სივრცე ჩამოყალიბდა: პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციული და სამხედრო.

თითოეულ ამ ასპარეზ-სივრცეში საქართველო იბრძვის შინ და გარეთ, ერთდროულად, მეტწილად უთანასწორო ძალების შებმის პირობებში. ქვეყანა ყოველთვის „ერთიანი ფრონტით" არ გამოდის. ეს, სამწუხაროდ, განვითარების დღევანდელი ეტაპის სპეციფიკაა.

როგორია პოლიტიკური სივრცე-ასპარეზის თავისებურებანი? იგი სტრატეგიული და ტაქტიკური „ბრძოლების" დემონსტრირების ასპარეზია თითქმის ყველგან: პარლამენტში, მთავრობაში, ოჯახში, ქუჩაში, მან მოიცვა ყველა თაობა და ყველა ფენა. ქვეყნის თავისუფლების მოპოვებამ დაბნეულობა გამოიწვია გარკვეულ პოლიტიკურ ძალებში. ბევრი მათგანი ერთმანეთს დაუპირისპირდა. ცალ-ცალკე მოღვაწეობენ, გაითიშნენ, მზად არ აღმოჩნდნენ ქვეყნის დეკლარირებული თავისუფლების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის იბრძოლონ ცივილიზებული ხერხებით, კომპეტენტურობით, არსებული ძალების სწორად გამოყენებით.

ამიტომ მათი განსხვავებული აზრები, შესაბამისად მოქმედებაც, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ერთმანეთს მწვავედ იქ ეჯახება, სადაც მათი თანამშრომლობის ობიექტურად ჩამოყალიბებული გზა — ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზა — გადის.

ქართველებმა ვერ ვისწავლეთ პოლიტიკის წონასწორობის წინააღმდეგობებით შეკრებილ ბორკილებზე აგება და მისი ბალანსირება, ისიც, რომ პოლიტიკა მხოლოდ შესაძლებლის ხელოვნებაა და ამიტომ იგი ერთობ ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს ყველასგან.

მკვიდრდება საკუთარი და სხვისი უარყოფითი სოციალური, ოპოზიციური „გამოცდილების" მეთოდებისა და ხერხების გამოყენება (ცინკლაობა, უაზრო მიტინგობანა, უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი და სხვ.), მკვეთრად გამოიკვეთა პოლიტიკური ბრძოლის ეროვნული სპეციფიკური შტრიხებიც. ერთ-ერთი მათგანია „მადიმანიზმი", რომელიც არა მარტო ღალატზე, არამედ დღის აშკარა ძალმომრეობაზეა აგებული, იკვალავს გზას და ქვეყნის პლურალისტური პოლიტიკური ცხოვრების „რეგულირების" პრეტენზიაც კი აქვს.

ამ და სხვა ნეგატიური გამოცდილების „გამოყენებით" ქართველებმა ერთმანეთზე „საბოლოო გამარჯვების" დიდი ენერგია, ნიჭი და გულმოდგინება შევალიეთ და, სამწუხაროა, რომ ეს უაზრო ბრძოლა გრძელდება.

მტერი ასეთ ვითარებას ყოველთვის ოსტატურად იყენებდა და იყენებს და ძალიან ადვილად, თითქოს შეუმჩნევლად „არეგულირებს" ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, იქ აღვივებს ნაღმს, სადაც ქართველთა შეკავშირების ხარისხი ნულის ტოლია, ან სადაც ქართველნი თავიანთი მოქმედებით თავად უწყობენ ხელს მას.

მტერი თავისი მზაკვრული ზრახვების აღსრულებისას ქართველის ისეთ თვისებებს ეყრდნობა, როგორიცაა ეგოიზმი, დოყლაპიობა, ამბიციების მაღალ რანგში აყვანის უნარი, სიზარმაცე (ნაკლები შრომით კარგი ცხოვრებისაკენ ლტოლვა!), ცბიერება (ეროვნულის დაცვის ნიღბით ანგარების ჩადენასაც არ თაკილობს), [illegible] და სხვა, უარყოფითი თვისებები, რაც ასე კარგად დახატა დიდმა ილია ჭავჭავაძემ თავის ცნობილ ლექსში „ბედნიერი ერი"; ასეთი თვისებების მატარებელნი, საუბედუროდ, ცოტანი არ არიან;

გადავხედოთ ეკონომიკური მოღვაწეობის სივრცე-ასპარეზს. აქ სრული დამარცხება განიცადა ეკონომიკურმა რეფორმებმა. „შოკური თერაპიით" ეროვნული ეკონომიკის განკურნების მეთოდი არასწორი აღმოჩნდა და შესაბამისად მისი კატასტროფული ნგრევა გამოიწვია.

ეროვნული ეკონომიკა ბოლომდე და განუკითხავად გაიძარცვა. რეფორმამ ადამიანი მესაკუთრე ვერ გახადა. სახელმწიფომ ვერც თავისი ქონება დაიცვა და ვერც სხვისი.

მეტად უთანასწორო ბრძოლას ეწევა საქართველო ინფორმაციულ ასპარეზ-სივრცეში. მოწინააღმდეგეები უპირატესად წარმატებებს აღწევენ იმით, რომ ფლობენ სინამდვილის დამახინჯების, ინფორმაციების გარკვეული შეთამბით შეთითხნის „ინდუსტრიულ მეთოდებს" და ჰყავთ შესაბამისად გაწვრთნილი კადრებიც. უცხოეთში კვლავ ვრცელდება ინფორმაცია საქართველოს ე. წ. „მცირე იმპერიის" სინდრომის შესახებ. თვით ქართველობამ არჩეული კურსის სისწორეში თავი ბოლომდე ვერ დაირწმუნა. ვერ გავერთიანდით!

სამხედრო ასპარეზზე ჩანს ფაქტობრივად არა საქართველოსა და აფხაზ სეპარატისტთა კონფლიქტის, არამედ ორი ახალი სახელმწიფოს — დემოკრატიული საქართველოსა და რუსეთის რეაქციული ძალების შეჯახება. რუსეთის დაქირავებული სამხედრო ნაწილები „დროგამოშვებით" სპობენ ჩვენი ქვეყნის არამარტო ეკონომიკურ პოტენციალს, არამედ — ფიზიკურადაც ანადგურებენ მას, მისი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. თავდაცვისუნარიანობის ამაღლების პროცესი კი ნელა მიმდინარეობს.

ამ ოთხი მიმართულებით ბრძოლამ, ძალებისა და ყურადღების გაფანტვამ გარკვეულად დაქსაქსა ეროვნული ძალები, შეასუსტა ისინი, იმძლავრა ამბიციებმა, მოღონიერდა შური. იგი სასიკვდილოდ იბრძვის ქვეყნის ახლად დაბადებული პოლიტიკური ორგანიზმის ჯანმრთელობას.

თვალსაზრისი

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ წონასწორობას ქვეყანა მისი მოქნილი საგარეო პოლიტიკით ინარჩუნებს ჯერჯერობით (გამოჩნდა ახალი ჰორიზონტი, რეალი, ნაყოფის მომცემი აღმონაცენიც, თუმცა ზოგიერთი ამასაც ვერ ხედავს). მოქნილი საგარეო პოლიტიკა სახელმწიფოს მეთაურის სტრატეგიისა და ტაქტიკის, მისი პირადი და ისტორიული გამოცდილების სწორად რეალიზაციის ლოგიკური შედეგია.

ამ სტატიაში დღევანდელი საქართველოს მრავალმხრივი პოლიტიკური ცხოვრების შეფასებას არ ვისახავთ მიზნად. აქ მოცემული ზოგიერთი მოსაზრება ვითარების ჩვენეული ანალიზისა და დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბდა.

მოვლენები მეტად მწვავე ისტორიულ ფონზე ვითარდება. მთელი სიმწვავით, სიღრმით ვგრძნობთ ეკონომიკური ცხოვრების სუსტ მაჯისცემას, მის „ტემპერატურას", „კლინიკურ სიკვდილთან" მიახლოებას. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, უნდა დავინახოთ დღევანდელი შესაძლებლობებიც (ეკონომიკური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური), **რომ ეროვნული მეურნეობა სწორი გზით განვითარდეს, დაჩიავებული ქართველი სხვისი მოწყალების შემყურე არ იყოს. თუ საკუთარი თავი ეკუთვნის, ქვეყნის ღირსებების დაცვაც უნდა იკისროს!**

თუ ერთი კომპლექსური განზომილებით შევაფასებთ ოთხივე ასპარეზ-სივრცეში ბრძოლის, მოღვაწეობის პირველ შედეგებს, უპრიანი იქნება ეს შეფასება გამოვხატოთ ილიას ცნობილ ლექსში („კითხვა-პასუხი") გამოთქმული ერთი მოსაზრებით — იმ ლექსში საქართველო ეუბნება თავის შვილებს: „მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი ლუკმა ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ". როგორც ჩანს, „ისტორიულ ტრადიციებს" ამჯერადაც არ ვღალატობთ! ოთხივე მიმართულებით ერთდროულად ბრძოლის წარმართვა სახელმწიფო აზროვნებისა და მასშტაბური მოქმედების განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, ერის გამთლიანების არსებული რეზერვების სრულ ამოქმედებას საჭიროებს, კონკრეტულ ეტაპზე მთავარი ამოცანის განსაზღვრას გულისხმობს. ამიტომ უნდა ავირჩიოთ ის უმთავრესი გზა, რომელიც ყველა მიმართულებით ვითარებას მართვადს გახდის, რაზეით თანაბარი პრობლემების გადაწყვეტის მყარ საფუძველს მოამზადებს.

ასეთად ჩვენ, პირველ რიგში ეროვნული ეკონომიკის აღორძინება მიგვაჩნია. ყველა სფეროში წარმატებები ძლიერი ეკონომიკის გარეშე არ მიიღწევა. არც თავისუფლებაა რეალური, თუ იგი ეფექტიან ეროვნულ ეკონომიკას არ ეყრდნობა.

კიდევ უფრო გაღრმავდა წინა წლებში დაწყებული ეკონომიკური კრიზისი. ტრადიციული საგარეო და საშინაო ეკონომიკური კავშირების მასშტაბურმა რღვევამ, წარმოებისა და მომსახურების კატასტროფულმა შემცირებამ, საფინანსო-საბიუჯეტო და ფულის მიმოქცევის სისტემის მოშლამ, ზღვარგადასულ მასშტაბებს მიღწეულმა ინფლაციამ და საქონლის დეფიციტმა, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემამ კრიზისი ეკონომიკის ნგრევის პროცესში გადაიყვანა. 1992 წელს ქვეყანაში წარმოებული იქნა 51,1%-ით ნაკლები ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ვიდრე 1990 წელს. ეროვნული შემოსავლის წარმოების მოცულობა 52,4%-ით შემცირდა, მთლიანი პროდუქცია 44,1%-ით, მათ შორის მომსახურების მთლიანი მოცულობა 39,3%-ით. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1992 წელს 1990 წელთან შედარებით 51,8%-ით შემცირდა. გაჩერდა ან მინიმალური დატვირთვით მუშაობს სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა. მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება: 1992 წელს შეადგინა 1990 წლის წარმოების 43,8%.

ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა რესპუბლიკის საფინანსო და ფულად საკრედიტო სისტემაში. მაკროეკონომიკური სიტუაციის სერიოზულმა გაუარესებამ, ბიუჯეტის ღრმა დეფიციტმა რესპუბლიკაში უკიდურესად გაამწვავა სოციალური მდგომარეობა. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ამჟამად 75%-ს აჭარბებს. საწარმოების მძიმე ფინანსური მდგომარეობა სულ უფრო აუარესებს საანგარიშსწორებო და საგადამხდელო დისციპლინას. ბანკის სესხებისა და მომწოდებლების ვადაგადაცილებული დავალიანება 3,5-4,0-ჯერ გაიზარდა.

ეკონომიკის მოშლის მაჩვენებელია ის, რომ ხელფასის ზრდა არ არის დაკავშირებული შრომის ნაყოფიერებასთან, მის ზრდასთან. კუპონების წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოების ჩაუტარებლად შემოღებამ კიდევ უფრო გაამწვავა ფულის მიმოქცევა და ხალხის ცხოვრების დონის დაცემა, უკანასკნელ ორ თვეში მოსახლეობის რეალური შემოსავალი 5-ჯერ დაეცა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შიმშილობს.

თუ ასე გაგრძელდა წლის ბოლოსათვის ვითარება უფრო გართულდება. IV კვარტალი საწარმოო თავისებურებებით (კვების მრეწველობის დიდი ხვედრითი წონა, ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფაში შეფერხებები) ხასიათდება. უმუშევრობა კატასტროფულად გაიზრდება. ინფლაცია გაძლიერდება, სატრანსპორტო კომუნიკაციების გამოყენებაში სირთულეები წამოიჭრება და შედეგად სამრეწველო პროდუქციის და მომსახურების დონის მკვეთრი დაცემაა მოსალოდნელი. სასურსათო კრიზისი გამწვავდება. ლოგიკურია, რომ არ იქნება საქონელი, არ იქნება მოგება, არც ბიუჯეტში შენატანები. საწარმოები საბოლოოდ გაკოტრების წინაშე დადგებიან. აუცილებელი გახდება მათზე კრედიტის გაცემა. მოსახლეობა იძულებული გახდება ბანკებიდან გაუფასურებული დანაზოგები გაიტანოს, შეფერხდება ხელფასის, პენსიების, სტიპენდიების გაცემა. გაძლიერდება ქურდობა, ყაჩაღობა. გამწვავდება ცენტრსა და რაიონებს შორის ურთიერთობაც, ბევრი მათგანი ბიუჯეტში შეაჩერებს გადასახადების შეტანას, ადგილზე შექმნილი პროდუქცია ვიწრო ადგილობრივი ინტერესების შესაბამისად ჩაირთვება ბარტერულ გაცვლაში. ხელისუფლებას გაუჭირდება ეკონომიკის დეცენტრალიზაციის სტიქიური პროცესების შეჩერება.

ყოველივე ეს უფრო დაძაბავს სოციალურ სიტუაციას, ფაქტობრივად უმართავს გახდის მას.

ნოდარ ჭითანავა,
ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვნივ—? მარცხნივ—?
ჭეშმარიტება აღარ შუაშია

ვიზუალურად ასე შეიძლება გამოიხატოს საქართველოს პარლამენტის 24 ივლისის სხდომის პერიპეტიები, რომელზეც აფხაზეთის კონფლიქტის რეგულირების ხელშეკრულება განიხილებოდა..

სხდომა, მოგეხსენებათ, დახურული იყო, ჟურნალისტები არ ვესწრებოდით, ფოიეში ვმუშაობდით. აქ დარბაზიდან ზოგი სიგარეტის მოსაწევად გამოდის, ზოგი ემოციის ამოსაფრქვევად, ზოგიც — ხაიკერზე განაწყენებული, სიტყვას არ მაძლევს, ვოლუნტარისტიაო, ზოგი ერთმანეთისთვის აზრის გასაზიარებლად. ასე რომ, დარბაზის განწყობილებაზე სრულფასოვანი სურათის შექმნა სავსებით შესაძლებელია.

ემოციების საზომი ხელსაწყო რომ არსებობდეს და იმ დღეს იგი პარლამენტის შენობის ფოიეში დაედგათ, უთუოდ გადაიწვებოდა — იმ სიმძლავრის ემოციურ მუხტებს ვერ გაუძლებდა.

დეპუტატები გზაგასაყართან მდგომი ზღაპრული პერსონაჟების როლში აღმოჩნდნენ. „მარცხნივ წახვალ? — დაიღუპები!“. „მარჯვნივ წახვალ? — დაიღუპები!“. აქ ლათინთა ლაკონიური თქმა — „ჭეშმარიტება სადღაც შუაშია“ — აღარ გამოდგება. ან ერთი უნდა აირჩიო, ან — მეორე; ანუ: ან უნდა მისცე ხმა ხელმოწერის სასარგებლოდ, ან — არა. მალე გამოიკვეთნენ დარწმუნებით მარცხნივ წამსვლელებიც და, ასევე, დარწმუნებით მარჯვნივ გეზის ამღებნიც. ზოგიც ადგილზე დარჩა, ვერ გაარკვია, საითაა იყო გადარჩენა. არადა, საქმე სამშობლოს ბედს ეხება, პრეფერანსის თამაში ხომ არ არის, მიზერში ორი „მოტეხილი“ კარტი ვერ გამოიცნო და ათი ქულა აგარ-თვას მოწინააღმდეგემ. ამასთან, მარცხენა და მარჯვენა მიმართულება პოლიტიკურ ორიენტაციასთან არაფერ კავშირშია, აბსოლუტურად პირობითად აღებული ცნებები, როგორც ერთმანეთის გამომრიცხავი არჩევანის გამოხატულება. ერთ მხარეს ვგულისხმობ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მომხრეთა, მეორე მხარეს წინააღმდეგთა პოზიციებს.

ფოიეში ჯერ კანტი-კუნტად გამოჩნდნენ დარბაზიდან გამოსულები. მერე თანდათან იმატა მათმა რიცხვმა და ბოლოს, ისეთი გუგუნი შეიქნა, ყველაფრის ჩაწერას ვეღარც ვასწრებდი — სხვადასხვა მხრიდან სულ სხვადასხვა ფრაზა მოფრინავდა. იმასაც კი მივაქციე ყურადღება, ერთსა და იმავე ფრაქციაში სხვადასხვა აზრი რომ ჰქონდათ დეპუტატებს.

„თან რეალისტურს რომ უწოდებენ ამ პოლიტიკას... რეალისტური კი არა, ფანტასტიკურია, — რა აქვს ამას საერთო რეალობასთან?!“. (თემურ სუმბათაშვილი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია); „მენშევიკურ მთავრობას იმის ვაჟკაცობა მაინც ეყო, რომ კარები არ გაუხსნა ბოლშევიზმს, ჩვენ საკუთარი ნებით ვბარდებით“. (გიგა ლორთქიფანიძე, ფრაქცია „ლიბერალები“); „ჩემგან რად ითხოვენ ხელმოწერაზე უფლებას. ვინც მოიყვანა საქმე აქამდე თავის პოლიტიკით, იმანვე აგოს პასუხი. კაპიტულაციას ის არ ჯობია, მოვიდეს რუსი და ძალით დაგვიპყროს?“ (კაკო ბობოხიძე, ფრაქცია „რესპუბლიკელები“); „ეროვნული მოძრაობა საქართველოს გათავისუფლებისათვის ჯერ არ დამთავრებულა!“ (ისევ თემურ სუმბათაშვილი), — მიტინგის სიომ მოჰბერა გვერდიდან. „კი, მერე შეიძლება რუსეთიც დაიშალოს და დაქუცმაცდეს, მაგრამ ჩვენ რა... საერთოდ დავრჩებით ერი, ქვეყანა?“ (თემურ ყორღოლიანი).

არჩილ გოგელია, ვახტანგ აბაშიძე, თემურ ზაჩიშვილი, მურთაზ ზანკალიანი შორიახლოს დგანან. დებატებში არ ერევიან.

„მარტო ემოციები... გონებაზე ძალის მიტანება არავის სურს“ — მომწვდა ასეთი ფრაზა.

„ადრე ეთნოკონფლიქტს აძლევდნენ პოლიტიკურის შეფერილობას, ახლა პირიქით. ოდესღაც ხომ უნდა ითქვას სიმართლე!“ (კაკო ბობოხიძე). ემოციათა აპოგეაში თითქოს ერთბაშად რადიოს დაუწიეს, დამოუკიდებელმა დეპუტატმა თენგიზ გაზდელიანმა მშვიდად თქვა — „ის ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა რა ვქნათ, რა ვუშველოთ ამ საქმეს, კონკრეტულად როგორ მოვიქცეთ?“ „ჩვენივე უმეცრებით დავმარცხდით, ახლა კითხულობთ, რა ვქნათ?“ (თემურ ყორღოლიანი); „რომ გაიძახოდით, ურუსეთოდ ვერ ვიარსებებთ. უთუოდ უნდა მივეხუტოთო, მაშინ გეფიქრათ. იმის ნაცვლად, რომ სხვაგან გვეძებნა კავშირები, რუსეთს ვერ მოვაწყვიტეთ თვალი“ (კაკო ბობოხიძე); „ხომ აფიქსირებდა ყოველთვის ამას ჩვენი საზოგადოება...“ (თამაზ ახვლედიანი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება).

ახლა, ამ უბანზე ემოციები ნელ-ნელა დაღმა დაეშვა, ცოტა გამოიდარა: „რას ვერჩოდი კონსტანტინოვიჩს“ — ხუმრობის ხასიათზეც კი დგება კაკო ბობოხიძე. ბატონი თენგიზ კიტოვანიც იცინის. მაინტერესებს მისი მხიარულების საგანი, ამას ცოტა მერე შევიტყობ. ვილაცას ნატვრა უჩნდება:

— „მომცა ახლა აქ სუკი მთელი თავისი უფლებებით, აა?..

— მოგენატრა სუკი, არა?

— ეე, ჰალსტუხიანი კომუნისტები კი არ მომენატრა?!.. — ეს ეგრეთ წოდებული ლირიკული გადახვევაა.

სამაგიეროდ, ცოტა მოშორებით, ვახტანგ რჩეულიშვილს და გერმანე ფაცაციას — ვიცესპიკერს და ტრადიციონალისტს ამ წუთში ლირიკა სულ არ ახსოვთ, მძაფრი პოლემიკა გაუმართავთ „ერთი ერთზე“. შორსა ვარ, არც ერთი სიტყვა არ მესმის — დაბალ რეგისტრში პაექრობენ. ახალი კონფლიქტის კერა კი სხვაგან ჩნდება. აქ უკვე თავადები უტევენ ერთურთს:

კოტე გაბაშვილი — პოლიტიკაში ასეთი გზაც არსებობს — ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წაწევა.

გიზო გელოვანი — რომელ წინ წაწევაზეა ლაპარაკი?

კ. გაბაშვილი — ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ამ ეტაპზე ერთგვარი კომპრომისია, რომელიც დღის ჰაერივით გვჭირდება.

გ. გელოვანი — ეს კომპრომისი არ არის, ეს კაპიტულაციაა.

კ. გაბაშვილი — კაპიტულაცია არაა.

გიგა ლორთქიფანიძე — კი, შეიძლება დაგვიპყრონ, მაგრამ შენ არ უნდა თქვა, ეს კარგიაო.

კ. გაბაშვილი — ეგრე არ არის ნათქვამი, ხელშეკრულება დღეს ერთადერთი გამოსავალია.

თამაზ ახვლედიანი — მერე იქ ჩვენ ვეღარ ვიცხოვრებთ!

კ. გაბაშვილი — თუ არ მოაწერე ხელი, იცხოვრებ? დაფიქრება არავის გვინდა, არც არაფრის გაკეთება. შემსრულებელი არავინ არის, ჩვენში ყველა მარტო მომთხოვნია... და საერთოდ, ქუჩის პოლიტიკა ამოვიდა ყელში...

ირაკლი მელაშვილი: — ქუჩის პოლიტიკას არ მოუყვანია საქმე აქამდე; ქუჩის პოლიტიკას არ უკავია დღეს მართვის სადავეები... კარგით რა ხელისუფლების გარდა, ცოტა სხვა რამეც დაინახეთ...

კ. გაბაშვილი — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, იმ დალოცვილს სხვის სიცოცხლეზე კი არ უთქვამს, საკუთარზე თქვა. არ გვენაღვლება თითო-თითოდ წასული სხვისი სიცოცხლე არა?!.

საქართველოს პარლამენტი

ხელშეკრულების მე-6 და მე-8 პუნქტებმა — ქართული ჯარის ნაწილების აფხაზეთიდან გამოყვანა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენა — ამ დღის დენთის როლი შეასრულა. ყველაზე მოუხელთებელი ეს ეჩვენათ ხელმოწერის მოწინააღმდეგეებს — „მაშ, რაღად გავიღეთ ამოდენა სისხლი...“.

პოლიტიკა დედამიწასავით არის, თითქოსდა შრეებისგან შედგება, ზოგი რამ ზედაპირზე დგას, ზოგი უფრო ქვემოთ, ზოგიც — მთლად სიღრმეში. დიდ პოლიტიკას კიდევ თავის კანონები აქვს. ამიტომ, მესმის მათიც, ვინც არანაირ დისკუსიაში არ ერთვება, თავისთვის დგას და სასოწარკვეთას თავს ვერ აღწევს.

„როგორ გინდა გაითვალისწინო, რომელ არჩევანს რა მოჰყვება. მხარი არ დაუჭირო ხელშეკრულებას? როდემდე უნდა იღვრებოდეს სისხლი, დაუჭირო მხარი და... ახლო, თუ უახლოესი წარსულის რამდენი მწარე მაგალითი გვიდევს წინ...“ (ლედი თირქია, სოციალ-დემოკრატიული პარტია).

„სიუჟეტი აგატა კრისტის დეტექტივივით ჩაიხლართა“, — რესპუბლიკელთა ფრაქციის მხრიდან მოსწვდა სმენას და თითქოს აქედან ამოვიდა ჩემი კითხვაც. რამდენიმე ადამიანს რომ დავუსვი — „მაინც რომელი გზა მიგვიყვანს შეუცდომლად სწორ ფინალამდე?“

ზურაბ ანდრიაძე (ფრაქცია „ლიბერალები“): — ჩემი აზრით, უსათუოდ უნდა მოვაწეროთ ხელი ხელშეკრულებას. ბოლოს და ბოლოს რას ვაგებთ? არაფერს. ამით ცოტა სულის მოთქმის საშუალებას მოვიპოვებთ. იქაური ქართველები ახლა სულ სხვა ქართველები არიან, ისინი, მწამს, ამიერიდან უფრო მეტი შემართებით დაიცავენ საკუთარ მიწა-წყალს. დღეს, ვფიქრობ, აგრე ჯობია, მერე ვნახავთ კიდევ.

გელა ჩარკვიანი (მთავარი სახელმწიფო მრჩეველი): — ხელშეკრულება ბრესტის ზავს მაგონებს მძიმე იყო, მაგრამ რუსეთის კი გადაარჩინა.

ნოდარ ნათაძე: — ხელშეკრულება კაპიტულაციაა, ამიტომ მასზე ხელისმოწერა არ შეიძლება!

ნესტან კირთაძე (ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატები“): — საჭიროა, ყოველთვის რეალობიდან ამოვიდეთ. რეალობა კი ისეთია, რომ ამ ხელშეკრულების დადება აუცილებელია. ამით იმას მაინც შევინარჩუნებთ, რაც გვაქვს. განა უკეთესი იქნება, ესეც რომ დავკარგოთ? პოლიტიკაში არსებობს შეურიგებლობის და კომპრომისის ცნებები. არჩევანი სიტუაციიდან გამომდინარე უნდა გაკეთდეს. დღეს კომპრომისია საჭირო, თუნდაც დროის მოგებისათვის.

ვახტანგ ძაბირაძე (ფრაქცია „რესპუბლიკელები“): — დოკუმენტზე ხელის მოწერა არ შეიძლება. ერთმა ღმერთმა იცის, რა მოჰყვება ამას. ასეთი ზავით რომ კონფლიქტები გვარდებოდეს, აქამდე ისრაელი და არაბეთი რამდენჯერ მოაწერდნენ ხელს ხელშეკრულებებს. ამას ჯობია, ბოლომდე ვიომოთ. სჯობს წაგვართვან სოხუმი, ვიდრე ჩვენი ნებით ჩავაბაროთ.

გერმანე ფაცაცია (ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი): — ერთი რამ მაეჭვებს: რაღა ამ დოკუმენტის გამოჩენასთან დაკავშირებით მოეძალათ ჩვენს სამხედროებს სრული უიმედობის განცდა. ისიც უნდა ვთქვა, რომ დროა, ვაღიაროთ, რუსეთი მესამე კი არა, პირველი ძალაა. და კიდევ: სახელმწიფოს მეთაურს თავის წარმომადგენლად ბატონი სანდრო კავსაძის სახით ჰყავს პიროვნება, რომელიც ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის კი არა, ეროვნულ უფლებათა დარღვევის კონსტატაციის კომიტეტის თავმჯდომარის ფუნქციასაც ასრულებს.

ზურაბ შენგელია (ფრაქცია „რესპუბლიკელები“): — ამ ხელშეკრულების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ეს ნორმალიზაცია საქართველოს ინტერესების ხარჯზეა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, ალბათ უნდა ჩამოვაყალიბოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო მინიმუმი, რომელიც არ უნდა დავთმოთ. ერთ-ერთი ასეთ პირობათაგანია რუსეთის მიერ საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების ცნობა და რამენაირი დაცვითი მექანიზმების გარანტია. მეჩვენება, რომ ეს შეთანხმება ასეთ გარანტს არ იძლევა. ხელშეკრულებაში აღნიშნული არ არის, რომ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსი მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაშია შესაძლებელი, თუმცა, ამის საშუალებას დოკუმენტი თავისუფლად იძლეოდა. ჩემთვის მიუღებელია მე-8 მუხლიც, რომელშიც აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლებაზეა საუბარი.

დაახლოებით ასეთია აზრთა სპექტრი. ბატონ თენგიზ კიტოვანს კი მთლად პანაცეა უპოვია — „სახელმწიფოს მეთაური გადადგეს და ომს მოვიგებთ!“ „რა ძალებით, ბატონო თენგიზ?“ — ეკითხებიან. „ეგ მერე გამოჩნდება“, — არის პასუხი.

მიიღებს თუ არ მიიღებს პარლამენტი დასტურს, სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს თვითონ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას. მოაწერს? გადადგამს უპარლამენტოდ ამ ნაბიჯს? — ასეთი კითხვაც ტრიალებდა მთელი დღე ფოიეში.

„მოაწერს, როგორ არ მოაწერს, აი, ამის ხელმოწერისთვის უნდოდა გაზრდილი უფლებები!...“ (კოლეგა „იბერია-სპექტრიდან“); „როგორ უნდა მოაწეროს ხელი, მარტო როგორ აიღებს ამხელა პასუხისმგებლობას?!“. (მესმის აქეთ-იქიდან დაეჭვებული ხმები).

სხდომა დასასრულს უახლოვდება.

ემოციები ცხრება. რაღაცნაირად გაირინდა გარემო. საქმე კენჭისყრამდე რომ მივიდა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უარი თქვა პარლამენტის დასტურზე, და საკითხს თვითონ გადავწყვეტო, განაცხადა. მაშინ, პარლამენტმა მოინდომა მისთვის საამისო უფლებამოსილების მიცემა, რაზეც სახელმწიფოს მეთაურმა აგრეთვე უარი თქვა. ეს პასუხისმგებლობის მთლიანად საკუთარ თავზე აღებას ნიშნავდა.

სხდომა დამთავრდა.

დარბაზიც, ფოიეც ნელ-ნელა დაიშალა. კიდევ მომწვდა ფრაზა — „მარტო ფრონტის წინა ხაზზე არ ყოფილა ვაჟკაცი“... კიდევ საკითხავია ფრონტის ხაზზე ტყვიის პირისპირ დადგომა უფრო დიდი გმირობაა თუ ხუთმილიონიანი გაპარტახებული ქვეყნის დაღუპვისგან გადარჩენის საკუთარ თავზე აღება.

ილია ზოგჯერ მაინც რომ გვახსენდებოდეს, ახლაც გაგვახსენდებოდა, რომ „გმირობა რა სახისაც უნდა იყოს, სულის ღონეა“, ეს ღონე ნამცეც-ნამცეც რომ მაინც იდოს თითოეულ ჩვენგანში, ერთს კი არ წამოვკიდებდით ყველას წილს, ცოტას ჩვენც შევაშველებდით ხელს, რითაც შეგვეძლო იმით. ხელის შეშველება კი არა და, ერთმანეთისკენ, საკუთარი მოძმისაკენ ნაბიჯის გადადგმაც არ გვინდა საკუთარივე კეთილდღეობისათვის. „ყველა მომთხოვნი ვართ. შემსრულებელი — არავინ“.

სხდომის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა პირდაპირ ეთერში ინტერვიუ მისცა საქართველოს ტელევიზიას, სადაც განაცხადა, რომ იგი ხელს აწერს ხელშეკრულებას და მოუწოდა თავის ხალხს, მხარი დაუჭიროს და გაუგოს მას ამ რთულ დღეებში.

გალინა ხარებაშვილი,
„სრ“ საპარლამენტო კორესპონდენტი.

საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის მიმართვა რესპუბლიკის მოქალაქეებს

24 ივლისს საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფმა მიიღო მიმართვა რესპუბლიკის ყველა მოქალაქისადმი. მასში კერძოდ აღნიშნულია, რომ უკვე თერთმეტი თვეა გრძელდება ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში, რომელშიც ჩაითრიეს საქართველო.

ამ ხნის განმავლობაში ომმა შთანთქა ქართველებისა და აფხაზების ერთად ცხოვრების დროს შექმნილი სულიერი და მატერიალური ფასეულობანი, შეიწირა ასობით ადამიანის სიცოცხლე, დატოვა ხეიბარი ახალგაზრდები და უსახლკარო ადამიანები. ომის შეწყვეტა, ნათქვამია მიმართვაში, შეუძლებელია, თუ არ მივაღწიეთ ცეცხლის შეწყვეტას, ძმათამკვლელი ომი კი ყოველთვის ურთიერთდათმობის გზით მთავრდებოდა.

დღეს, როცა ათასობით ჭაბუკი მზად არის სიცოცხლე გაწიროს თავისი სამშობლოს მთლიანობის შენარჩუნებისათვის, როცა საქართველოს ყოველი მოქალაქე სიძნელეებსა და გაჭირვებას განიცდის, ქალაქ სოხუმის დამცველები კი ვაჟკაცობისა და სიმამაცის ნიმუშს წარმოადგენენ, პარლამენტი კისრულობს ისტორიულ პასუხისმგებლობას და სთხოვს სახელმწიფოს მეთაურს აწარმოოს მოლაპარაკება აფხაზურ მხარესთან ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ, და ამ მიზნით აძლევს მას რეკომენდაციას ხელი მოაწეროს შეთანხმებას, რომელსაც მიაღწიეს ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით, განხორციელდეს შემდგომი საქმიანობა ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნების, აგრეთვე რუსეთთან, როგორც სუვერენულ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოგვარების მიზნით.

მიმართვაში გამოთქმულია რწმენა, რომ ცეცხლის შეწყვეტის მიზნით მიღებულ ზემოთ ნახსენებ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდება ქვეყნის თითოეული მოქალაქე, ყველა, ვინც დაინტერესებულია მისი მომავალი კეთილდღეობით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს პარლამენტებსა და მთავრობებს

საქართველოში, აფხაზეთის ფრონტებზე მიმდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და ქალაქ სოხუმის მოსახლეობის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში რუსეთის ფედერაციის ჩარევის ესკალაცია:

ა) სეპარატისტთა შეიარაღებით,
ბ) მათი წვრთნით, ინფორმირებით და მათი ოპერაციების ხელმძღვანელობით,
გ) რუსეთის ტერიტორიიდან საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ რაზმებად ორგანიზებულ მოქალაქეთა შემოყვანით,
დ) რუსეთის არმიის დროებით დემობილიზებულ სამხედრო მოსამსახურეთა შემოგზავნით,
ე) საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ შეტევით სამხედრო მოქმედებაში რუსეთის შეიარაღებული ძალების (ავიაციის) მონაწილეობით.

მიმდინარე პროცესი სხვა არ არის რა, თუ არა რუსეთის გამოუცხადებელი და შეზღუდული ომი საქართველოს წინააღმდეგ.

დღეს საქართველოს მდგომარეობა უკვე კრიზისულია. ორ თვეზე მეტია, რაც აფხაზი სეპარატისტები, მოხალისეები და რუსეთის შეიარაღებული ძალები თითქმის განუწყვეტლივ ბომბავენ და არტილერიის ცეცხლს უშენენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ სოხუმს. დაბომბვის მსხვერპლთა 90 პროცენტზე მეტი მშვიდობიან მოსახლეობაზე მოდის.

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტარებს, მიგვაჩნია, რომ ზემოხსენებული ვითარება სწორედ იმ შემთხვევას წარმოადგენს, როცა საჭიროა მსოფლიოს ჩარევა აგრესიის ობიექტად ქცეული ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს გადასარჩენად. ვითვალისწინებთ რა რუსეთის დემოკრატიზაციის უდიდეს მნიშვნელობას მსოფლიოსათვის, თავს უფლებას ვაძლევთ შეგახსენოთ, რომ რუსეთის დემოკრატიზაცია ვერ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მას საშუალება დარჩება აგრესიული ომების დაწყებისა და წარმატებით დამთავრებისა მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ.

გთხოვთ შველას ყველა მისაწვდომი საშუალებით ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად.

საქართველოს პარლამენტის წევრები.

„გადაცვალეთ საბჭოთა მანეთები კუპონებზე...“

შოკში აღმოჩნდნენ ყოფილი „თავისუფალ რესპუბლიკათა ურღვევი კავშირის“ სივრცეში ადამიანები, როცა შეიტყვეს რუსეთის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილება 26 ივლისიდან ბრუნვიდან ამოიღოს 1961-1992 წლების გამოშვების ფულის ნიშნები.

— საქართველოს ეროვნული ბანკი დიდი ხანია ამბობდა, რომ რუსეთის ხელისუფალთა ამგვარ გადაწყვეტილებას ნებისმიერ დღეს უნდა ველოდოთ, — თქვა მისმა პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ნუგზარ ფიფიამ**. — ამიტომ ჩვენ შეგვეძლო არც კი შეგვეცვალა საბჭოთა ფული. მაგრამ ვხელმძღვანელობთ რა რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესების დაცვის მოსაზრებებით, საქართველოს მინისტრთა კაბინეტთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება ბრუნვიდან ამოღებული მანეთების რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონებზე შეცვლის შესახებ.

— როგორია კუპიურების გაცვლის მექანიზმი?

— გაცვლა მოხდება 2 აგვისტოს ჩათვლით მანეთზე კუპონის ოფიციალურად დადგენილი კურსის მიხედვით. ესე იგი, ერთ მანეთში — ერთი კუპონი. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში უნდა შეიქმნას შესაბამისი კომისიები, რომლებსაც უფლება აქვთ თითოეულ თანამშრომელს გაუცვალონ კანონგარეშე გამოცხადებული ასი ათასამდე მანეთი. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, თუ ადამიანი შვებულებაში ან საზღვარგარეთ იყო, მას მისცემენ შესაძლებლობას ფული გადაცვალოს 2 აგვისტოს შემდეგაც.

გამოცხადებული თანხის ზევით ამგვარი ფულადი ნიშნები რესპუბლიკის თითოეულ მოქალაქეს შეუძლია შეიტანოს თავის დეპოზიტში ნებისმიერ სახელმწიფო კომერციულ ბანკში ერთი თვის ვადით და შესაბამისი პროცენტების დარიცხვით. ამასთან, ზუსტად მეორე დღეს დეპოზიტის გახსნის შემდეგ, მის მფლობელს უფლება აქვს გააფორმოს საპრივატიზაციო მიზნით თავის ანგარიშზე არსებული სახსრების გადარიცხვა.

— 3 აგვისტოდან კუპონი რესპუბლიკაში ერთადერთი საგადამხდელო საშუალება ხდება. პრაქტიკულად როგორ მიგაჩნიათ ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია?

— ყველა სახელმწიფო, ვაჭრობის კომერციულ ობიექტებზე, კომუნალურ სფეროში, ტრანსპორტზე და ა. შ. გადახდის ერთადერთი საშუალება იქნება კუპონი. გამონაკლისი გაკეთდება მხოლოდ მაღაზიებისათვის, რომლებსაც თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით მუშაობის ლიცენზია აქვთ.

როგორც ჩანს, ყოველ კვირას მოხდება მსოფლიოს წამყვანი ვალუტების მიმართ, აგრეთვე ბალტიის, ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ფულის მიმართ კუპონის კოტირება. სწორედ მოცემული მომენტისათვის დადგენილი კურსით განხორციელდება ბანკებში კუპონის გაცვლა. რაც შეეხება გამოსაცვლელ კანტორებს, მუშაობის უფლებას შეინარჩუნებენ მხოლოდ ისინი, ვინც საქართველოს ეროვნული ბანკისაგან შესაბამის ლიცენზიებს მიიღებენ. სხვათა შორის, ასეთი უფლება მიეცა დაახლოებით, ორმოც ორგანიზაციას.

თამაზ ნადარეიშვილი: „ამ ეტაპზე ეს დოკუმენტი მისაღებია...“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამაზ ნადარეიშვილი მკურნალობს თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში. და მაინც, გაეცნო თუ არა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შეწყვეტისა და მისდამი კონტროლის მექანიზმის შექმნის შესახებ შეთანხმების ტექსტს, მან გადაწყვიტა განემარტა ეს დოკუმენტი.

— ამჟამინდელი ვითარების გათვალისწინებით, ეს შეთანხმება, პრინციპში, მისაღებია, — მიაჩნია თამაზ ნადარეიშვილს. — ეჭვს იწვევს ორი პუნქტი: მეექვსე და მერვე. რაც შეეხება მეექვსე პუნქტს, ვფიქრობ, რომ აფხაზეთში უნდა დარჩეს კორპუსი მასში შემავალი ორი ბრიგადით (ისინი დაკომპლექტებულია ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან და, იმას, თუ რას უწოდებენ მას მომავალში, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს). ისეთი შენაერთები კი, როგორიც არის „შავნაბადა“, „ავაზა“ და სხვები უნდა იქნეს გამოყვანილი.

მთავარია, მოვაგვაროთ ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან, დავდგეთ მდინარე ფსოუზე გამავალ ჩვენს საზღვარზე, მოვაწეროთ ხელი რუსეთთან ხელშეკრულებას, შემდეგ კი — უკვე ჩვენს პრობლემებს მივხედოთ.

ამიტომ, ამ ეტაპზე ეს დოკუმენტი ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს.

განცხადება, რომელიც არ გაუკეთებიათ

23 ივლისს იტარ-ტასის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის განცხადება, რომელშიც იგი, თითქოს, სამთავრობო კრიზისს საქართველოში უკავშირებდეს „მიმდინარე წლის 5 აპრილიდან მიმოქცევაში ეროვნული ბანკის კუპონების შემოღებასა და ბრუნვიდან რუსული მანეთის ამოღებას“.

ბატონმა ჩიკვაიძემ კატეგორიულად უარყო ამ განცხადების თვით ფაქტი, რომელიც, როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტი აღნიშნავს, მას თურმე გაუკეთებია „ჟურნალისტებთან საუბრის დროს“.

— ამ დროს მე ავად ვიყავი, შინ ვიმყოფებოდი და, ბუნებრივია, ვერ შევძლებდი ჟურნალისტებთან შეხვედრას, — უთხრა მინისტრმა საქინფორმის კორესპონდენტს. — სწორედ ამ მიზეზის გამო ვერავითარ განცხადებას ვერ გავაკეთებდი. მეტი რომ არ ვთქვათ, გაოცებას იწვევს არარსებული განცხადების გამოჩენა და ის, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ზოგიერთი თქვენი კოლეგის უსაზღვრო ფანტაზიამ. მათ კი მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ პასუხს აგებენ ყოველი დაწერილი სიტყვისათვის.

ისევ აფხაზეთზე...

საქართველო'92

გამოიცა აპოლონ სილაგაძის წიგნი „საქართველო-92“. კრებული, რომელიც ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული წიგნის „საქართველო 88-90“ ერთგვარი გაგრძელებაა, შეიცავს გასულ წელს დაბეჭდილ სხვადასხვა ნაშრომს. მათში 1992 წლის ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენაა გაანალიზებული: სამაჩაბლოს პრობლემა, აფხაზეთის საკითხი, სამეგრელოში ზოგი ჩვენი მოქმედების უაზრობა, წინასაარჩევნო პოლიტიკური ბრძოლის პერიპეტიები, საკანონმდებლო მუშაობის ნაკლი, რუსეთთან ურთიერთობათა სიძნელეები და სხვ. მკითხველი შეამჩნევს, რომ ავტორის მიერ თავის დროზე გამოთქმულმა ბევრმა მოსაზრებამ და პროგნოზმა განხორციელება დღევანდელ რეალობაში პოვა.

პროფესორი აპოლონ სილაგაძე ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარია. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მისგან გასულ სამშაბათს 20 ივლისს, ჩაიწერა საქართველოს რადიომ (გადაიცა პროგრამა „რეგლამენტით“).

აქტუალური ინტერვიუ

— როგორია, თქვენი აზრით, ჩვენი მდგომარეობა დღეს აფხაზეთში?

— ყველა შემთხვევაში, მთლად ისეთი არა, როგორსაც ოფიციალურად გვიჩვენებენ. თუნდაც უკანასკნელ ხანებში სოხუმის ირგვლივ რამდენიმე მაღლობის დაპატრონება, ეს, ჩემი აზრით, არის მორიგი წარმატებული სვლა, რომელიც გუდაუთამ თავის აქტივში ჩაიწერა. ჯერ ერთი, მათი იქიდან უკუგდება არ ჩანს რეალური, მეორეც, ეს ქმნის სოხუმისთვის მომავალი გაუთავებელი მუქარის ბაზას.

სხვათა შორის, პროგნოზის პოზიციებიდან, ამ მცირე დეტალის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ მოწინააღმდეგის (ვთქვათ პირდაპირ — არა გუდაუთის დაჯგუფება, არამედ რუსეთი) სტრატეგიულ გეგმაზე, უფრო ზუსტად, მის ერთ-ერთ ვარიანტზე: ომმა მიიღოს რაღაც ლოკალურ ჩარჩოებში პერმანენტული ხასიათი, ეს — ზოგადად, ხოლო კერძოდ — საფრთხე სოხუმის და ესე იგი მთელი საქართველოს მიმართ გახდეს ასევე პერმანენტული, ყოველდღიური, და ასეთი სტატუს კვო, რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში იქნას შენარჩუნებული. ასეთ პირობებში, ფასადური პოლიტიკის ფარგლებში, რუსეთი შეიძლება რაღაც უმნიშვნელო შემხვედრ ნაბიჯებზეც წავიდეს, მაგრამ პლაცდარმი დაძაბულობისთვის, ზეწოლისთვის, — მათ შორის, ზოგადი ფსიქოლოგიური და კერძო პოლიტიკური ზეწოლისთვის — მუდამ ექნება.

რუსეთი ყველა შემთხვევაში არის ფაქტორი, და მისი გაუთვალისწინებლობა, ან ჯეროვნად არგათვალისწინება, ჩვენი დღევანდელი გაჭირვების მთავარი მიზეზია.

მე გეგმის ერთ შესაძლებელ ვარიანტზე მოგახსენეთ. მეორე ვარიანტი ამჟამად მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებასთანაა დაკავშირებული. რაღაც მაღალ იდეებსა და იდეალებს ამოფარებით მოწინააღმდეგე მიაღწევს ისეთ შეთანხმებას, რომელიც მის საწადელს განახორციელებს და ჩვენსას დაასამარებს. მით უმეტეს, რომ მოლაპარაკებებში ჩვენი პოზიცია აშკარად გაუმედავია. სამი სუბიექტის არსებობის პირობებში საქართველომ, როგორც ერთ-ერთმა, დიდი ხანია და საბოლოოდ დაუთმო ინიციატივა ორ დანარჩენს და, გარდა ამისა, ამ ორ დანარჩენს იგი ერთნაირად უყურებს, იერარქიას აქ არ ქმნის. ესეც შეცდომაა.

არსებობს მესამე ვარიანტი — პირდაპირ დაგვამარცხებენ.

— თქვენი აზრით, რა უნდა გავაკეთოთ?

— რეცეპტების გამოწერა ძალიან ძნელია, თანაც დღეს — არაკორექტული. ზოგადად რომ ვთქვათ, არ უნდა დაგვეშვა ის, რაც დავუშვით და რაც შედეგად მივიღეთ დღევანდელ ეტაპზე. დღეს ფაქტია, რომ როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს კონფლიქტი, შედეგით თუ უშედეგოდ, გუდაუთის მხარემ ყველა შემთხვევაში მიაღწია ერთ, შეიძლება ითქვას, თავისთვის ისტორიულ, მონაპოვარს. სეპარატისტებმა მიაღწიეს იმას, რომ მსოფლიოში, რომელმაც ადრე არაფერი იცოდა, დღეს დამკვიდრდა, და, ალბათ, სამუდამოდ, ის რაც მათ, სეპარატისტებს, ხელს აძლევთ: მსოფლიო პოლიტიკამ, პოლიტიკოსებმა, საერთაშორისო ზესტრუქტურებმა, ფორმალურმა და სახალხო მოძრაობებმა, ყველა საინფორმაციო საშუალებამ, დოკუმენტებმა, მატიანეებმა და ა. შ. იციან, რომ აფხაზეთი, ეს არის ტერიტორია, რომელიც აფხაზებს ეკუთვნით, რომელიც შედის საქართველოს შემადგენლობაში, რომ აფხაზებს თავიანთი ტერიტორიიდან წასვლა უნდათ, მაგრამ საქართველო არ თმობს. ვიმეორებ, როგორადაც უნდა დასრულდეს მოვლენები, თუნდაც სეპარატისტებისთვის წარუმატებლად, ეს მაინც უკვე მათი გამარჯვებაა და ჩვენი — მარცხი. უფრო მეტიც, თუ მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ განვითარდა და დასრულდა (რაც ძალიან საეჭვოა), მაშინ ამ ფაქტორს კიდევ უფრო მეტი ასპარეზი ექნება: მსოფლიო რაღაცნაირი მოვალის პოზაში აღმოჩნდება აფხაზთა წინაშე, გამოვა ისე, რომ მსოფლიოს მიზნად ჰქონდა უნივერსალური ინტერესების, გლობალური წესრიგის, რეგიონული მშვიდობის და ა. შ. განხორციელება და ამ მიზანს მოცემულ შემთხვევაში აფხაზთა ინტერესების ხარჯზე მიაღწია. ეს ფაქტორი ყოველთვის დარჩება ფაქტორად, იგი მომავალში, ყოველ მოცემულ მომენტში, რაღაცის — ამჯერად უკვე არა ჩვენს სასარგებლოდ — საწინდარი იქნება.

რაც შეგვეხება ჩვენ, — ვერ შევძელით სიტუაციის უნიკალობის გაგებინება მსოფლიოსთვის, თუ საჭირო იყო, საერთაშორისო სამართალში რაღაც ახალი პუნქტების შეთავაზება. ჩვენ ვერ ვაჩვენეთ საქვეყნოდ, რომ სიმართლე ჩვენს მხარესაა, რომ აფხაზეთი ეს არ არის ტერიტორია, იგი არ არის ტერიტორია ერთი მესაკუთრის გაგებით, რომ აფხაზეთი და აფხაზობა ამ კონტექსტში არის იდეოლოგია ვიღაცეების ხელში, რომ ის, რასაც აფხაზეთი ჰქვია, საქართველოა და იქ ორი ავტოქთონი მოსახლეა (ჩვენ რომ ერთ-ერთი ვართ, ამას დამტკიცება არ უნდა, დამტკიცება სხვა რამეს უნდა); რომ ერთ-ერთის მიერ წასვლის სურვილის განცხადება, ეს არ არის თვითგამორკვევის აქტი, არამედ მეორის დაუკითხავად ტერიტორიის წართმევა, თანაც ორმაგი წართმევა — იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც მას ფლობს, და იმ მეორე ეთნიკური სუბიექტისაგან, რომელიც ასევე მესაკუთრეა.

აი, ამ ვითარებაში საბოლოოდ დადგა გარედან მშვიდობიანი ინიციატივებით ჩარევის ამოცანა. ის, რაც ხდება დღეს კონფლიქტის მოსაწესრიგებლად მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან (ზოგის მხრივ — ალალად, ზოგის მხრივ — გარკვეული ზრახვებით), ხდება ყველასათვის სიმპათიურ კონტექსტში და კეთილშობილური მიზანდასახულებით, და ჩვენ ესეც უნდა გავითვალისწინოთ. მსოფლიომ თავის დროზე ვერ შესძლო პრევენტული ზომების მიღება, ვთქვათ, იუგოსლავიაში, შემდეგ მან კიდევ უფრო დიდი საფრთხის კერები დაინახა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. და ბოლოს, მან ისიც დაინახა, რომ მილიტარიზებული სეპარატისტული მოძრაობების წინააღმდეგ ერთი ქვეყნის ბრძოლა, მონობრძოლა, არაეფექტიანია. იგი ამიტომ დღეს განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს ყოფილი კავშირის გეოპოლიტიკურ სივრცეს და, ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთში რაღაც ნაბიჯების გადადგმის განზრახვას ამჟღავნებს. იგი ამით გარკვეულ ექსპერიმენტსაც ატარებს, ქმნის მოდელს მსგავს შემთხვევებში მოქმედებისთვის. ამ პირობებში და იმ ერთადერთი მიზნიდან გამომდინარე, რომ მშვიდობა აუცილებლადაა დასამყარებელი, ჩვენ არ უნდა აღმოვჩენილიყავით დღეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც საომარი კონფლიქტის მოწესრიგების შედეგი, გრძელვადიანი შედეგი, ჩვენთვის არასასურველ მოდუსს შექმნის. მე რატომღაც მგონია, რომ ჩვენ მოვაწერთ ხელს შეთანხმებას, რომელიც ერთი შეხედვით შვებას მოგვიტანს, მაგრამ პერსპექტივაში, საბოლოოდ, ცუდ რასმე დაუდებს სათავეს: ჩვენ ლეგიტიმურს გავხდით აფხაზეთს, როგორც ასეთს, როგორც ტერიტორიას გალიდან ფსოუმდე, ჩვენ აღარ გვექნება საშუალება ვთქვათ, რომ ეს ავტონომია, ამ სახით, სტალინური, ბოლშევიკური სქემის შედეგია, ჩვენ იქაურ ქართველობას ვავნებთ და ა. შ., რაც მთავარია, დღის წესრიგში მაინც დარჩება და ყოველთვის — ათეული თუ ოცეული წლის შემდეგ — ამოტივტივდება სეპარატისტების სურვილი, და მორიგ რაუნდში მათ წარმატების მეტი შანსი ექნებათ (თუ, რა თქმა უნდა, ამ რაუნდშივე არ მიაღწიეს წარმატებას).

მე ადრეც გამომითქვამს მოსაზრება და ახლაც გავიმეორებ: ჩვენ კატეგორიულად უნდა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ ავტონომია ამ ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას ორი და არა ერთი ეთნიკური სუბიექტისათვის. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა ბუნებრივად მოითხოვს ახალ საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც ერთს ამ ორ სუბიექტთაგან წაართმევს მეორის დაუკითხავად გამოყოფის უფლებას. უკიდურეს ვარიანტში, გამოუვალ მდგომარეობაში, გაუთავებელი კონფრონტაციისა და სისხლისღვრის მდგომარეობაში, ტერიტორია უნდა განაწილდეს ორ სუბიექტს შორის მოსახლეობის რიცხვის პროპორციულად.

ჩვენი მხრივ ამგვარი ან ნებისმიერი სხვაგვარი, მაგრამ მყარი და კატეგორიული პოზიციის დაკავება არ ხდება. და უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორ მკრეხელურადაც არ უნდა აჟღერდეს, მე ამ ომზე უფრო არანაკლებ ისეთი მშვიდობის მეშინია, რომელიც ჩვენთვის არასასურველ ვითარებას დააკანონებს, ან მომავალი დაკანონების საფუძველს შეუქმნის.

მე უკვე ვთქვი, რომ მონომეცადინეობები მსგავს სიტუაციებში მიზანს ძნელად აღწევს. ჩვენ ეს უნდა გვეცოდნოდა, მით უმეტეს, როდესაც ოპონენტად ჰორიზონტზე რუსეთს ვხედავდით. ჩვენ საქმე რუსეთთან უნდა დაგვეჭირა. უშუალოდ მასთან. ჩვენ ისიც უნდა გამოგვეთვალა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენების რაღაც ეტაპზე რუსეთისთვის გარკვეული დათმობები გარდაუვალი იყო. ეს დათმობები ჩვენ თვითონ უნდა გაგვეკეთებინა და არა მას, რუსეთს, მოეპოვებინა ჩვენი დამარცხების ხარჯზე, თანაც მოეპოვებინა გუდაუთის ხელით. რუსეთი თბილისის მადლიერი უნდა ყოფილიყო და არა გუდაუთისა. ვიმეორებ, ჩვენ უშუალოდ რუსეთთან უნდა დაგვეჭირა საქმე, ხოლო გუდაუთას უნდა ეხმარა ყოველი ღონე, რათა როგორმე ჩამდგარიყო ჩვენს შორის. დღეს ამას ჩვენ ვაკეთებთ, დღეს ყველაფერი პირიქითაა. რაც შეეხება რაღაც კომპრომისებს, ისინი ჩვენთვის პრინციპულად არ იქნებოდა საზიანო, რადგანაც ორ სახელმწიფოს შორის ინტერესთა დაბალანსება პრინციპულად ბუნებრივი საქმეა. პერსპექტივაში მომდევნო ეტაპი და მომდევნო თაობა მოვიდოდა, რომელიც იზრუნებდა ამ დათმობების ნეიტრალიზებაზე. ყველაფერი ეს ნორმალურია. არანორმალურია პირდაპირ არაფრიდან ყველაფრის მოპოვება ერთი ნახტომით, — ბუნებაში ასე არ ხდება, ამას შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს.

— ვთქვათ, ჩვენ ამ გზით წავსულიყავით, რა იყო საჭირო ამის განსახორციელებლად?

— მე მხოლოდ ზოგადად გიპასუხებთ. ამისათვის, ისევე როგორც ყველაფრისათვის იმ ქვეყანაში, რომელიც ან ახლა იქმნება, ან ომიდანაა ახალი გამოსული, ან კრიზისულ, თუნდაც ეკონომიკურად კრიზისულ სიტუაციაშია, საჭიროა ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება. უფრო მეტიც, იგი ცოტათი წინ უნდა უსწრებდეს სხვას, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო ხელისუფლების აქტიური და კვალიფიციური მუშაობის ფონზე (მაგალითების მოხმობა ისტორიიდან ადვილად შეიძლება, გავიხსენოთ 30-იანი წლების აშშ, ომისშემდგომდროინდელი საფრანგეთი და სხვა). ჩვენთან დღეს ეს ასე არაა, და არა იმიტომ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობაა ცუდი, არამედ იმიტომ, რომ, როგორი შემადგენლობაც უნდა იყოს, აღმასრულებელი ხელისუფლება სუსტი იქნება, რადგანაც ვიღაცეებმა ასე განიზრახეს და წინასაარჩევნო და შემდგომი საკანონმდებლო მუშაობის გზით განახორციელეს კიდეც. გარდა ამისა, დღეს აღმასრულებელი ხელისუფლების სიძლიერეს ყველა უშლის ხელს.

ეს, რაც შეეხება ოფიციალურ პოლიტიკას, ხოლო რაც შეეხება მთლიანად საზოგადოებას, აქ არასასურველი მდგომარეობა შემდეგ ლოკალურ მაგალითზე შეიძლება დავინახოთ: თავის დროზე, როდესაც აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობის გადამწყვეტი ეტაპი მოახლოვდა, საერთო მიზნის წინაშე აფხაზურმა კლანებმა შესძლეს გაერთიანება, მათ ზოგ სხვა, არააფხაზურ და არაქართულ, კლანებთან შეკავშირებაც მოახერხეს, აფხაზეთის ქართულმა დაჯგუფებებმა ამ პირობებშიც კი ვერ შეძლეს კონსოლიდირება, მათ მაინც ვერ გამონახეს საერთო ენა.

ეს ყველაფერი განზოგადებული სახით გასათვალისწინებელი გვაქვს ჩვენი მომავალი ყოფნისა და მუშაობისათვის. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, ჩვენ ყველაფერი ისევ, უკვე მერამდენედ, თავიდან, ნულიდან უნდა დავიწყოთ.

ინფორმაცია-93

თბილისი. სააგენტო „იბერიას" კორესპონდენტს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ი. წერეთელმა განუცხადა, რომ თუ სახელმწიფოს მეთაური ხელს მოაწერს დოკუმენტს აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, [illegible] გამოლის ფართომასშტაბიან ბრძოლას, მიმართავს გამოსვლებს და პროტესტის სხვა ფორმებს.

თბილისი. რუსული ფულის ხმარებიდან ამოღებამ ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა საწვავის შესყიდვა, რამაც გაართულა საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა.

ამასთან დაკავშირებით, დედაქალაქის ვიცე-მერმა გიორგი ცაგარელმა დაავალა რაიონების გამგებლებსა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ქალაქში საწვავის მდგომარეობის დარეგულირებამდე მაქსიმალური დახმარება გაუწიონ, პირველ ყოვლისა, სავარიო სამსახურებს.

თბილისი. იმის გამო, რომ დღის საწვავის უქონლობამ უამრავი პრობლემა წარმოქმნა, სავალალოა დედაქალაქის სანიტარიული მდგომარეობა, ამასთან დაკავშირებით, თბილისის მერმა კოტე გაბაშვილმა კატეგორიული მოთხოვნა დააყენა — იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის სისუფთავეს არ მიექცევა სათანადო ყურადღება, მოხდება საკადრო ცვლილებები.

თბილისი. „იბერიას" კორესპონდენტს ქ. თბილისის მერიაში განუცხადეს, რომ პურ-პროდუქტების დეფიციტის გამო, რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს პურის ნორმირებულ გაცემას. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია, მოსახლეობის სრული აღრიცხვა, რაც დღევანდელი რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

თბილისი. „იბერიას" კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ დღეს სოხუმიდან დაბრუნდა გაეროს წარმომადგენელთა 7-კაციანი ჯგუფი. დამკვირვებლებმა მოამზადეს დასკვნა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომელსაც გადასცემენ გაეროს ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში განსახილველად.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიერ აფხაზეთის რეგიონში საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, გაერო გამოაგზავნის 50-კაციან ჯგუფს.

28 ივლისს საქართველოს ეწვევა გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ედუარდ ბრუნერი, რომელიც კიდევ ერთხელ გადაამოწმებს გაეროს ჯგუფის მუშაობის შედეგებს.

დმანისი. დმანისის ადმინისტრაციული ორგანოები უძლურნი არიან დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. არ სრულდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 4 ივნისის №137 განკარგულება ბოლნისისა და დმანისის რაიონებში შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო დმანისის და ბოლნისის რაიონების წარმომადგენლები. საქართველოს პარლამენტის წევრმა ტარიელ ციხელაშვილმა სახელმწიფოს მეთაურს მიაწოდა მოსახლეობის აზრი, რაიონში არსებული დაძაბული მდგომარეობის შესახებ. ე. შევარდნაძემ, თავის მხრივ, აღუთქვა, რომ ამ წინადადებებს სათანადო სამსახურებთან ერთად, განიხილავენ სხდომაზე.

ზუგდიდი. აფხაზეთში მებრძოლთა დასახმარებლად, ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა მშობლების ინიციატივით შეიქმნა შემომწირველობათა შტაბი, სადაც უკვე შეგროვდა სოლიდური თანხა.

ზუგდიდი. „იბერიას" კორესპონდენტი ზუგდიდიდან იტყობინება, რომ დღეს, პოლიტიკურ ორგანიზაციათა ჩხოროწყუს „მრგვალი მაგიდის" შტაბ-ბინაში მოწვეულია სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირის ჩხოროწყუს რაიონული ორგანიზაციის მე-3 კონფერენცია.

დღის გაზეთი
კერძო მესაკუთრე
დაგეხმარებით
ფირმის გახსნაში
დაგეხმარებით
სახელმწიფო საწარმოს
სააქციო საზოგადოებად
გარდაქმნაში
დაგეხმარებით ბუღალტრიის
წარმოებაში
93-18-46 • 93-10-53

საზღვარგარეთის პრესის დაიჯესტი

„იზვესტიამ" გამოაქვეყნა სოხუმში თავისი სპეციალური კორესპონდენტის [illegible] რეპორტაჟი, რომელიც ეხება აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტს. ავტორი აღნიშნავს: მრავალი სოხუმელი დარწმუნებულია, რომ ქალაქს ცეცხლს უშენენ რუსეთის შეიარაღებული ძალები. „ამ მტკიცებას არც თბილისში მყოფი დასავლელი დიპლომატები უარყოფენ", — წერს ავტორი, რომელსაც მოჰყავს ერთი ამ დიპლომატთაგანის გამონათქვამის ციტატა, თუმცა, მის სახელს არ ასახელებს: „საშუალებები, რომლებიც ამოქმედდნენ თბილისის დამცველ განხორციელებული უკანასკნელი შეტევის დროს — თვითმფრინავები, სადესანტო ხომალდები, — მნიშვნელოვნად აღემატება შეტევათა შესაძლებლობებით აფხაზთა ძალებს". „დასავლეთის სამთავრობო წრეებში, — წერს შემდეგ „იზვესტია", — აღიარებენ, რომ „რუსეთის მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეს სძულს ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც, მათი აზრით, ეკისრება პასუხისმგებლობა საბჭოთა იმპერიის დაშლისათვის". „სხვები, — აღნიშნავს „იზვესტია", ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ „მათი" კურორტები ახლა აღმოჩნდნენ საზღვარგარეთ — უკრაინაში ან საქართველოში, როგორც, მაგალითად, სოხუმი. ლაპარაკიც კი შეიძლება იმაზე, რომ ამ კურორტებით ისარგებლონ ქართველებმა და მყარი ვალუტა მიიღონ იმ ქალაქის ხარჯზე, რომელიც რუსებმა ააშენეს, მიაჩნიათ ამ ადამიანებს".

• • •

საქართველოს ყოფილმა ვიცე-პრემიერმა და თავდაცვის მინისტრმა თ. კიტოვანმა ითარ-ტასისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შევარდნაძე უთუოდ უნდა გადადგეს. „სანამ იგი თავის პოსტზეა, — თქვა კიტოვანმა, — კონფლიქტი აფხაზეთში არ შეწყდება, საქართველო კი გახდება სამოქალაქო ომის / ასპარეზი".

„რუსეთის გარკვეული სამხედრო წრეები, — აღნიშნავს კიტოვანი, — დაინტერესებული არიან აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის გაღვივებითა და საქართველოს ტერიტორიაზე ახალ-ახალი კონფლიქტების შექმნის გზით აიძულონ შევარდნაძე გადადგეს. თუ შევარდნაძე მოაწერს ხელს შეთანხმებას აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ამას მას არ აპატიებს არც პარლამენტი, არც საქართველოს ხალხი, ძალზე დიდია ტკივილი იქ დაღუპული ქართველი მეომრების გამო, რათა მოვაწეროთ ხელი შეთანხმებას ისეთ დოკუმენტს, რომელიც ფაქტობრივად აფხაზეთის დაკარგვას ნიშნავს".

თ. კიტოვანმა განაცხადა, რომ შევარდნაძეს წინათაც მოუწერია ხელი აფხაზეთში დაზავების შესახებ მორიგებებისათვის, მაგრამ არცერთს არ მოუტანია დადებითი შედეგები.

• • •

რადიოსადგური „მაიაკი" თავისი კორესპონდენტის ბათუმიდან გადმოცემულ რეპორტაჟში იუწყებოდა, რომ „გამსახურდიას, კიტოვანის მომხრეები ერთიანდებიან შევარდნაძის წინააღმდეგ.

მე მითხრეს აჭარის უზენაეს საბჭოში, განაცხადა კორესპონდენტმა, რომ ზვიად გამსახურდიას შეიარაღებული მომხრეები ლოთი ქობალიას ხელმძღვანელობით შევიდნენ სენაკში, რომელსაც აქამდე სამთავრობო ჯარები აკონტროლებდნენ. სენაკში შევიდნენ აგრეთვე თენგიზ კიტოვანის ნაწილები. როგორც ცნობილია, ორივეს წინათ აერთიანებდა ერთი მიზანი — თანამდებობიდან გადაეყენებინათ ედუარდ შევარდნაძე.

კიტოვანისა და გამსახურდიას გაერთიანებულმა მომხრეებმა, იუწყება შემდეგ „მაიაკი", ქალაქში შეიყვანეს ჯავშანტექნიკა და დაიწყეს მოსახლეობის მობილიზაცია. შესაძლოა, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება აფხაზეთში ახალი ჯარების გაგზავნის შესახებ. თუმცა, სხვა წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ამ სამხედრო ფორმირებათა ორივე მეთაური გეგმავს დასავლეთ საქართველოს თბილისისაგან მოწყვეტას და შეიარაღებული აჯანყების დაწყებას სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ.

ედუარდ შევარდნაძე ტელეფონით ესაუბრა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს. საუბრის დროს განიხილეს ეს პრობლემა, აღნიშნავს კორესპონდენტი. საუბრისას შევარდნაძემ განაცხადა, რომ აპირებდა სამთავრობო ჯარების შეყვანას სენაკში და ქალაქის განთავისუფლებას მათი მეშვეობით. საბედნიეროდ, სისხლისღვრა არ მომხდარა. სახელმწიფოს მეთაურის თხოვნით ასლან აბაშიძე ესაუბრა ლოთი ქობალიასა და ქალაქ სენაკის ადმინისტრაციას. მიღწეული იქნა შეთანხმება ჯავშანტექნიკისა და ჯარების ქალაქიდან გამოყვანის შესახებ. აბაშიძემ თავისი მოქმედება ამ შემთხვევაში ახსნა იმით, რომ მას სურდა შეეწყვიტა ძმათამკვლელი ომი და მიეღწია რუსეთს, საქართველოსა და აფხაზეთს შორის სამმხრივი შეთანხმების დადებისათვის. თუმცა ადგილობრივი დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ კონფლიქტის თავიდან აცილება ძალზე რთული იქნება. ეს ინფორმაცია, განაცხადა კორესპონდენტმა, ჩვენ მივიღეთ აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში.

შემდეგ იგი იტყობინება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა თემურ ხაჩიშვილმა, რომელიც ჩავიდა ბათუმში, არ მოისურვა განემარტა სენაკში მომხდარი ინციდენტი, იმის მიუხედავად, რომ მისი ჩასვლა აჭარაში სწორედ ამ მოვლენასთან არის დაკავშირებული.

გუშინ ბათუმში უზენაესი საბჭოს შტაბ-ბინის წინ დააყენეს პირადი დაცვის ჯავშანტრანსპორტიორი. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ გამოჩნდა ტანკი, ავტომატებით შეიარაღებული სამხედრო ნაწილი. მთელი ღამე ქალაქში დადიოდნენ ჯავშნიანი მანქანები. შევეცდები შემდგომ მოვლენებზე საღამოს პროგრამაში გესაუბროთ, თქვა დასასრულ „მაიაკის" კორესპონდენტმა.

• • •

იაპონიამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოილაპარაკეს, რომ მიმდინარე წლის სექტემბრიდან ერთად გაუწევენ ჰუმანურ დახმარებას ოთხ ყოფილ საბჭოთა (რესპუბლიკას — ყირგიზეთს, თურქმენეთს, საქართველოსა და მოლდოვას. ეს დახმარება შეიცავს მედიკამენტებსა და სამედიცინო მოწყობილობას, რომელსაც, როგორც გაზეთი „ნიჰონ კეიძაი" იუწყება, ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებები მიიღებენ. საქინფორმი.

მადლობა ექიმებს!

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ქალაქ გაგრის ზონის ათასობით მცხოვრები, რომლებმაც შარშან, ოქტომბერში რაღაც სასწაულით შეძლეს გაგრიდან გამოსვლა.

თბილისში თავშეფარებულ ათასობით გაგრელ ლტოლვილს შორის აღმოჩნდა ჩვენი ოჯახიც — მე და ჩემი ორი შვილი. ერთ მათგანს, 15 წლის მერაბს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ცოტა ხნის წინათ მკვეთრად გაუუარესდა, სულ რამდენიმე დღეში ჩვენს თვალწინ ბავშვი სულმთლად დაუძლურდა და გაგრელი ექიმის — ასევე ლტოლვილის — ბატონა კოჯუას რჩევით ბიჭი მივიყვანეთ ქალაქის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში.

ამ საავადმყოფოს გულის ქირურგიის განყოფილების მედპერსონალმა განახორციელა ყველა საჭირო გამოკვლევა. შესაბამისი მკურნალობის კურსი და ორი კვირის შემდეგ ბავშვი ფეხზე დააყენა.

მთელი სულითა და გულით მსურს გადავუხადო მადლობა განყოფილების გამგეს კოტე [illegible], პროფესორ თამარ გოგუას, მკურნალ ექიმს ნანა იქიმაშვილს, მედდა ლალი ქანთარიასა და მათ კოლეგებს იმ დახმარების, ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩემი შვილის მიმართ.

მაგანმა შეიძლება თქვას: „ექიმი ხომ ვალდებულია ავადმყოფს დაეხმაროს", მაგრამ ამ ექიმებმა და მათმა კოლეგებმა გაცილებით მეტი გააკეთეს, ვიდრე მათ ევალებოდათ. ისინი ჩემს მერაბს საკუთარი შვილივით უვლიდნენ.

მადლიერებით

დარეჯან აბშილავა.

ახალი საგარეუბნო მატარებელი

მეორე კვირა დაიწყო, რაც დაინიშნა ახალი საგარეუბნო მატარებელი თბილისი-ლილო-ვაზიანი-საგარეჯო, რასაც უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ამ რეგიონის მცხოვრებნი, ივრის რკინაბეტონისა და ასფალტის ქარხნების მუშა-მოსამსახურეები, მებაღეები...

დიდი მადლობა რესპუბლიკის რკინიგზის დეპარტამენტს, რომელიც ყველაფერს აკეთებს ახალი მატარებლის ნორმალურად მოძრაობისათვის.

გიორგი კაჭარავა,
პროფესორი.

იყიდება
რკინის გარაჟი
შეღავათიან ფასებში.
ტელ: 37-52-36.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა"
და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

უჩვენებს თბილისი

ოთხშაბათი

28 ივლისი

7.30 — ალიონი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — ნაშუადღევი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.35 — განცხადებები. 18.40 — თვალთაი — სატელევიზიო პროგრამა. 19.15 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.25 — გუშინ, დღეს, ხვალ... 19.55 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — მე, შენ და საქართველო. 21.10 — სტუდია „ალფა" — სიმაღლე. 22.00 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ვიდეო, ვიდეო... 23.45 — ქვიშის საათი—საინფორმაციო პროგრამა.

ხუთშაბათი

29 ივლისი

7.30 — გამარჯობა, საქართველო! — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — ნაშუადღევი — საინფორმაციო მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.25 — განცხადებები. 18.35 — გიორგი სალუქვაძე. 19.10 — რამპა. 19.15 — საქართველო და გარესამყარო. 19.55— რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.40— ეკოლოგიური ქრონიკა. 21.05 — თუ მუსიკა გიყვართ... 22.00 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — მხატვრული ფილმი. 23.45 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

პარასკევი

30 ივლისი

7.30 — ალიონი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 13.00 — ნაშუადღევი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.25 — განცხადებები. 18.30 — მღერის ანსამბლი „ბიჭები". 19.00 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.10 — „ლურჯი აფთიაქი". 19.55 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — პოლიტიკა. 21.15 — კალათბურთის ვარსკვლავები. 21.50 — დოკუმენტური ფილმი. 22.00 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა. 22.15— მხატვრული ფილმი. 23. 45 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

შემთხვევა

თავდასხმა მუზეუმზე

შაბათს, 24 ივლისს, ღამის ოთხ საათზე საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს თავს დაესხნენ მძარცველები.

მუზეუმის დირექტორმა პროფესორმა ნოდარ ლომოურმა გვითხრა: — ასეთი მცდელობა პირველად ზუსტად ერთი კვირის წინათ მოხდა, მაგრამ მაშინ მიზანს ვერ მიაღწიეს. საუწყებო დაცვის მორიგემ დარბაზების დათვალიერებისას, პუშკინის ქუჩაზე გამავალი ფანჯრიდან ამოღებული მინა შენიშნა. იმავე ფანჯრის გვერდით წყალსაწრეტ მილზე ბაგირი იყო ჩამოშვებული. დარბაზის შიგნით კი ძალაყინი იპოვეს. გამიზნული იყო მეორე სართულის გაძარცვა, სადაც რუსული დარბაზია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ პირველი „ოპერაციის" ჩაშლის შემდეგ, კვირის თავზე, ხელმეორე თავდასხმა, ზუსტად იმავე გზით განხორციელდა და ძარცვა რუსულ დარბაზში მოხდა. პირველი ცდის ჩაშლის შემდეგ გვეგონა მოვისვენებდით, თავს დაგვანებებდნენ, მაგრამ მუზეუმის დაცვა მაინც გავაძლიერეთ, სიგნალიზაცია ყველგან ჩართული იყო და ხშირად მოწმდებოდა. თანამშრომლებიც ფხიზლობდნენ. რას ვიფიქრებდით, რომ ოპერაცია [illegible] გამეორდებოდა. ღამით, ოთხ საათზე უცებ სიგნალიზაცია ჩაირთო. ორმა ახალგაზრდა პოლიციელმა მუზეუმს პუშკინის ქუჩის მხრიდან მოუარა. მაგრამ ვერაფერი შეამჩნიეს. დამნაშავე უკვე შიგნით ყოფილა შეპარული, რადგან, როცა ერთ-ერთი მცველი შენობაში შებრუნდა, უცებ სროლის ხმა გაისმა, და პოლიციელიც მძიმედ დაიჭრა. სროლის ხმაზე მას ამხანაგი მიეშველა. მაგრამ უკვე გვიან იყო. თავდამსხმელებმა დრო იხელთეს, მომაგრდნენ, დაცვა გაარღვიეს და მიიმალნენ. თან წაიღეს ვასილ კანდინსკის უნიკალური ფერწერული ტილო „შავი შტრიხი".

ამჟამად პოლიცია საქმეს იძიებს. ვიმედოვნებთ, რომ დამნაშავის კვალს მიაგნებენ.

ცისანა სიხარულიძე.

ინდექსირებული და ჩვეულებრივი თანხებით თქვენი მომავლის გარანტიას შეიქმენით!

საქართველოს სახალხო
საინვესტიციო
კორპორაცია

ჩვენ გთავაზობთ შეიქმნათ კაპიტალი და დაუტოვოთ იგი შვილებს!

ცხოვრებამ უკვე დაგარწმუნათ რომ 5,10, 50 თუ გინდ 200 ათასი კუპონით, რომელიც დღეს თქვენ ანაბარზე შემნახველ სალაროში ირიცხება მანეთის ნაცვლად, რეალურად ვერაფრის მესაკუთრე ვერ გახდებით. ეს თანხები საკმარისი პროდუქტის შესაძენადაც არ გეყოფათ ბაზარზე.

საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაცია გთავაზობთ გამოსავალს.

ჩვენ ვახდენთ მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ჩვეულებრივი და ინდექსირებული თანხების გაერთიანებას, შემდგომში საპრივატიზაციო უძრავი ქონების შეძენის მიზნით გადმორიცხეთ თქვენი თანხები ჩვენს ანგარიშზე და ამით გახდებით კორპორაციის მთლიანი ქონების მაღაზიების, ფაბრიკების, სასტუმროების თანამფლობელი შემოტანილი წილის პროპორციულად. შემდგომში კი მთელი ცხოვრების განმავლობაში ყოველწლიურად მიიღებთ მოგების თქვენს წილს.

აქციები შეგიძლიათ გადასცეთ მემკვიდრეობით, გაყიდოთ, გაჩუქოთ.

გახსოვდეთ, შემოტანილი ძირითადი კაპიტალი დაცული იქნება უძრავი ქონებით, თქვენი ქონებით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეიძენთ მხოლოდ ერთ 1000-კუპონიან აქციას, თქვენი თანხა განაწილებული იქნება ყველა იმ ობიექტზე, რომელსაც კორპორაცია შეიძენს.

დღეს ბანკები ვერ დაიცავენ თქვენს ისედაც გაუფასურებულ თანხებს ინფლაციისაგან, ყოველწლიურად 300 პროცენტითაც რომ მოახდინონ ინდექსაცია, რადგანაც ინფლაციის ტემპი გაცილებით მაღალია. კიდევ ერთხელ დაფიქრდით, ძნელია გადაწყვეტილების მიღება, როდესაც ყოველ ნაბიჯზე აწყდებით თაღლითობას, ჰკარგავთ რწმენას და ისინი ვისაც ეს ევალება, ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ გაარკვიონ მოსახლეობა, თუ როგორ გადაარჩინოს სიმწრით შეგროვილი ორიოდე კაპიკი, შექმნას დამატებითი შემოსავლის წყარო.

დრო კი არ იცდის.

თუ თქვენ გადაწყვიტეთ, გახდეთ საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციის წევრი, შეგახსენებთ, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 1000 კუპონია, იყიდება 50 და 100 ათასი კუპონის აქციების ღირებულების პაკეტები. თანხების გადმორიცხვა შეგიძლიათ შემდეგ ანგარიშზე:

საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაცია სააქციო კომერციული ბანკი „TBC- ბანკი", საკორესპონდენტო ანგარიში 800161219, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო, კოდი 520018.
მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 11.
ტელ: 22-04-16, 22-26-07.
ნაღდი კუპონებით აქციის შეძენა შეგიძლიათ ადგილზე.

ხსოვნა

ვიკენტი სირაძე

საქართველოს ღვინის მრეწველობის ღვაწლმოსილ მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერისა და ქვეყნის პატრიოტი, რესპუბლიკის დამსახურებული მეღვინე ვიკენტი სიმონის ძე სირაძე.

იგი იყო გამოცდილი სპეციალისტი, დაუზარელი ექსპერიმენტატორი, ახლის ძიების ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. მისი ღრმა აზრი და ნათელი გონება მუდამ ვაზთან და ღვინოსთან, დარგის აღორძინებისა და განვითარების პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოანდომა ღვინის დაყენების ახალი და რაციონალური მეთოდების ძიებას. ამიტომაც არაერთი ტექნოლოგიური სიახლის, ახალი მარკის ღვინის ავტორი და თანაავტორი იყო.

წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილი, პატიოსანი და უმწიკვლო ადამიანი, საქმისა და მეგობრების ერთგული კაცი. დარგის სპეციალისტთა შორის უდიდესი ავტორიტეტის მქონე სპეციალისტი, ყველასთან მართალი და უპრეტენზიო პიროვნება.

მსუბუქი იყოს მისთვის მადლიანი ქართული მიწა, რომელსაც იგი მთელი არსებით ეთაყვანებოდა.

ყურძნის წარმოებისა და ღვინის მრეწველობის რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტი".

თეიმურაზ ასათიანი

ქართველ ოფიცერთა რიგებს გამოაკლდა თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი თეიმურაზ ასათიანი. ყველას, ვინც მას ახლოს იცნობდა, გულს წყვეტს შესანიშნავი ოფიცრის, გულისხმიერი, ზრდილი და თავმდაბალი ადამიანის უდროო გარდაცვალება.

მოკლე, მაგრამ სასახელო გზა განვლო თ. ასათიანმა. დაიბადა 1946 წელს ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატში. როგორც ერთგული მოძრაობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა და მცოდნე სპეციალისტმა, თავისი წვლილი შეიტანა სამხედრო კომისარიატების ჩამოყალიბებაში. უმწიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოებულია მრავალი მედლით.

ყველგან, სადაც კი უმუშავია თ. ასათიანს, მას იცნობდნენ მცოდნე, ღირსეულ და საქმის ერთგულ პიროვნებად. თავისი კაცობით, განსაკუთრებული ყურადღებით ყველას მიმართ იმკვიდრა სიყვარული მეგობარ-ახლობლებს შორის. იმის მიუხედავად, რომ მძიმე ავადმყოფობა აწუხებდა, სურდა თავისი ცოდნა და გამოცდილება გაეზიარებინა ახალგაზრდობისათვის.

წავიდა ჩვენგან საამაყო მამა და კარგი ოჯახის შვილი, ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ვეღარ ვიხილავთ კაცს, რომელიც იყო თავმდაბლობის, პატიოსნებისა და გულისხმიერების მაგალითი.

ამხანაგების ჯგუფი.

ჰამლეტ ჩილინგარაშვილი

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სოფელ ტამიშის მიდამოებში ნაღმზე აფეთქების შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა კავშირგაბმულობის სამინისტროს საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობისა და ტელევიზიის ტერიტორიული საწარმოო გაერთიანების სოხუმის № 4 მაგისტრალური კავშირების ტექნიკური კვანძის ლაბორატორიის უფროსი, 46 წლის ჰამლეტ სტეფანეს ძე ჩილინგარაშვილი.

წავიდა ჩვენგან საქმისმცოდნე ინჟინერი, რომელიც 1970 წლიდან, ოდესის კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობას და ტელევიზიას. წავიდა უშიშარი და კეთილი ადამიანი, კარგი მეოჯახე, მოსიყვარულე მამა.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვისაც მასთან ერთად უმუშავია და უცხოვრია.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო; კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭო.

ზაურ გამგებელი

კიდევ ერთი ქართველი შეიწირა ომმა, — სოფელ შრომასთან დაიღუპა სამაჩაბლოს ქარცეცხლში გამოვლილი ვაჟკაცი ზაურ გივის ძე გამგებელი. ზაურ გამგებელი იყო უღალატო, ალალმართალი, პირნათელი ადამიანი, სამშობლოსათვის უძგერდა გული და ისევე სურდა აღეზარდა თავისი მცირეწლოვანი შვილები, რომლებსაც ყოველთვის საამაყო დარჩებათ სამშობლოსათვის თავდადებული მამის ხატება.

მარადიული ხსოვნა მის ნათელ სახელს.

თანამშრომლები.

L G V

ფირმა „ლგვ" გთავაზობთ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს როგორც ნაღდ ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით ორი სახის მაღალხარისხოვან წებოს, მინიმალური რაოდენობა 10 კგ.

1. წებო გერმეტიკი — გამოიყენება პარკეტის, ლინოლიუმის, ქვის, მინის დასაწებებლად. არის საუკეთესო საშუალება სველი წერტილების გერმეტიზაციისათვის.
2. წებო უნივერსალი — გამოიყენება ფეხსაცმლის წარმოებაში ტყავისა და რეზინის დასაწებებლად.
3. ფირმა „ლგვ" ასევე გთავაზობთ უცხოური წარმოების ტელექსს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, კანდელაკის ქ. 27
ტელეფონი: 37-15-40, 37-42-10, 39-32-37.
ფაქსი: 37-42-04.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის [illegible] პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგამომცემლო კომპლექსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА